

ა ა რ თ უ ლ ი

ს ე ნ ა თ მ ა ზ ნ ი ე რ ი ს ე ზ მ ა დ ღ ვ ა გ ი ს

წ ე ლ ი ზ დ ე კ უ ლ ი

I-II

J A H R B U C H

DER GEORGISCHEN
SPRACHWISSENSCHAFTLICHEN GESELLSCHAFT

1923—1924



ტ ფ ი ლ ი ს ე ზ მ ა დ ღ ვ ა გ ი ს — TIFLIS

ბეჭდეა დაიწყო 1924 წ. 20 აპრილს. — დასრულდა 1925 წ. 27 ოქტომბერს.

ს. გ. უ. ს. პოლიგრ. 1 სტამბა (პლეხან. პრ., 91).

მთავრობი № 276. — შეკვ. № 348/298. — დაიბეჭდა 450 ცილი.

საზოგადოების სხდომათა

ო ქ მ ე ბ ო¹

ქართული საენაომეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელი
კრების ოქმი № 1

კრება გაიმართა 1923 წელს 18 თებერვალს, დილის 10 საათზე
ვაჟა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ღუნიბის ქ. № 46). დაეს-
წრნენ: 1. პროფ. გ. ახვლედიანი, 2. პროფ. კ. კიკელიძე, 3. დოც. ლ.
მელიქეთ-ბეგი, 4. სერ. გორგაძე, 5. ვუკ. ბერიძე, 6. დიმ. მგელაძე
7. ბენ. ჩიქობავა, 8. მაკ. ხუბუა, 9. სტეფ. ჩხერიძელი და 10. ვარლამ
თოფურია.

კრება გახსნა პროფ. გ. ახვლედიანმა, რომლის ინიციატივითაც
იგი იყო მოწვეული; სხდომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა პროფ.
გ. ახვლედიანი, მდივნად—ვარ. თოფურია. თავმჯდომარემ
გააცნო დამსწრეთ კრების მოწვევის მიზეზი; აზრთა გაცელა-გამო-
ცელის შემდეგ ერთხმად გადაწყდა დაარსდეს საზოგადოება. საზო-
გადოების წევრებად ზემოჩამოთველილთა გარდა ირიცხებოდენ შემ-
დეგი პირნი, რომელთაც წინასწარ ქონდათ სურვილი გამოთქმული
და კრებას შემთხვევით ვერ დაესწრნენ: პროფ. ივ. ჯავახიშვილი,
პროფ. აკ. შანიძე, პროფ. დ. უზნაძე, ი. აბულაძე, მ. ჯანაშვილი, სე.
ჯანაშია და ს. იორდანაშვილი.

პროფ. გ. ახვლედიანმა კრებას წარმოუდგინა საზოგადოების
წესდების პროექტი, რომელიც მიღებულ იქმნა ზოგიერთი შესწორე-
ბა-დამატებითურთ; წესდების საბოლოო რედაქტია მიენდო ამისთვის
არჩეულ საგანგებო კომისიას შემდეგი შემადგენლობით: პროფ. გ.
ახვლედიანი, პროფ. კ. კიკელიძე, სერ. გორგაძე და ბენ. ჩიქობავა.

¹⁾ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ოქმების დიდი წილი ძალზე შემოკლე-
ბით იბეჭდება; ხოლო თუ მოხსენება დაბეჭდილია, მხოლოდ ნაჩერებია შენიშვ-
ნაში, სად დაიბეჭდა; სათანადო ოქმში მხოლოდ მოხსენებით გამოწვეული კამა-
თია გადმოცემული, -სამწუხაროდ, -ისიც შემოკლებით.

დასასრულ, არჩეულ იქნა საზოგადოების საბჭოს ოთხი წევრი):
 1. პროფ. გ. ახვლედიანი (თავმჯდომარე), 2. პროფ. აკ. შანიძე (თავ-
 მჯდომარის ამხანაგი) 3. ბენ. ჩიქობავა (მდივანი), 4. დიმ. მგელაძე
 (მოლარე). სარევიზო კომისიაში აირჩიეს: 1. ღოც. ლ. მელიქსე-
 ბეგი, 2. სერ. გორგაძე და 3. ვუკ. ბერიძე. კრება 12 საათზე დაი-
 ხურა.

1925 წლის 4 მარტის საჯარო სხდომის ოქმი № 2.

კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე ვაუთა პირველი ტექნიკუმის
 შენობაში, (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლე-
 დიანი.

დაესწრენ წევრები: პროფ. ლ. უზნაძე, პროფ. კ. კეკელიძე,
 ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, ღოც. ლ. მელიქსე-ბეგი, დ. მგელაძე, სტ.
 ჩხენკელი, ვარ. თოფურია, სე. ჯანაშვილი, ს. იორღანაშვილი, მ. ხუბუა,
 ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

თავმჯდომარე კითხულობს საზოგადოების წესდების საბოლოო
 ტექსტს, წარმოდგენილს წინა კრებაზე არჩეული სარედაქციო კო-
 მისიის მიერ. დაადგინეს: წესდება მიღებულ იქმნეს და წარეგზავნოს
 სახელმწ. სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად.

შემდეგ პროფ. გ. ახვლედიანი კითხულობს მოხსენებას: „აღ-
 მოსავლეთ თურქესტანში აღმოჩენილ ინდოევრო-
 პულ ენათა ნაშთები“. მომხსენებელი წინასწარ განმარტავს,
 რომ დასახელებული მოხსენება უმთავრესად გამოწვეულია დ-რ ვე-
 ზენდონქის მიერ ამავე თემაზე წაკითხული მოხსენებით, რომლის
 ლინგვისტური ნაწილი არ იყო წარმოდგენილი საკმაო სისრულით,
 რის გამოც წარმოიშვა ერთგვარი გაუგებრობა (იხ. დ—რ ვეზენდონ-
 ქის მოხსენების შესახებ შენიშვნა გაზეთ „ლომის“-ში № 23, 1923 წ.
 ვინმე გ. ჩ.—ისა).

„მეცნიერებაში უკვე ცნობილს და საკმაოდ შესწავლილ ინდო-
 ევროპულ ენებს 19 საუკუნის დამლევიდან დაწყებული ემატება მა-
 ნამდე უცნობი ენები, რომელთა ნაშთი ხელნაწერების სახით აღმო-
 ჩნდა ცენტრალურ აზიაში,— მასალა მრავალმხრივ ფრიად საგულისხმიე-
 რო. ერთი მათვანი, სახელდობრ, ე. წ. ტოქარული განსაკუთრებით შნი-
 შვნელოვანია იმ მხრივ, რომ ზოგიერთ მეცნიერთა აზრით მას შეუ-

¹⁾ მეხუთე წევრი შემთხვევით არ იქნა მაშინ არჩეული; ერთ-ერთ საჯარო
 სხდომაზე ასეთად არჩეულ იქნა ვარ. თოფურია.

ქლია ორსებითად შესცვალოს ინდ.-ევროპულ ენათა აღმოსავლურ (satem) და დასავლურ (centum) ჯგუფებად მიღებული დაყოფა⁶-ო, ამით მომხსენებელი. ამიტომ მომხსენებელმა საჭიროდ დაინახა გაცემულია ინდო-ევროპულ ენათა ზოგადი მიმოხილვა მათი ურთიერთ ნათესაობის მიხედვით და ვრცლად შეეხო ამ ენათა centum და satem ჯგუფებად დაყოფის საფუძვლებს. შემდეგ მან დაწვრილებით დაახასიათა:

I.—ქოტანის მიდამოებში (აღმოსავლეთ თურქეთის სამხრეთით) აღმოჩენილი ენის ნაშთები, რომელსაც „ჩრდილო-არიული“ უწოდეს, თუმცა ზოგიერთ მეცნიერთა აზრით (მაგ. Meillet), იგი ცნობილ უნდა იქნეს ირანული ენის ერთ-ერთ დიალექტად. მომხსენებლის აზრით „ჩრდილო-არიული“ წარმოადგენს მესამე არიულ ენას ძვ.-ინდურისა და ძვ.-ირანულის გვერდით. სანიმუშოდ მოჰყავს ერთი წინადადება.

II.—აღმოსავლ. თურქეთის ტანში (ჩრდილოეთით) აღმოჩენილი ხოგდური (თუ სოლდური? ჰეროდოტეს Σάγδοι) ენის ნაშთი, რომელიც წარმოადგენს საშუალო ირანულის დიალექტს. მომხსენებელს სანიმუშოდ მოჰყავს ერთი ადგილი სახარებიდან და ჰამულობს ამ ენის ურიად საგულისხმო სიახლოვეს ოსურ ენასთან. თვით ჰეროდოტეს Σάგδοι: უახლოვდება ოსურ სულდ-ავ (სულდ-ევ)-ს.

III.—იმავე აღმოსავლეთ თურქეთის ტანში (ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილებში) აღმოჩენილი ტოქარული (და ორა თოხარული, სტრაბონის Τόχαροι) ენის ნაშთი, რომელსაც მომხსენებელი ვრცლად იხილავს.

ტექსტები ეკუთვნის ქ. შ. პირველ საუკუნეს. წარმოდგენილია ორი (A. და B.) დიალექტის სახით, რომელიც განსხვავდებიან ურთიერთისაგან ლექსიკით, ვოკალიზმით და ფლექსიით. სანიმუშო მასალის ანალიზის შემდეგ მომხსენებელი დასკვნის, რომ ტოქარულში 1) ორა ten. aspir. და med. aspir.; ორა აგრეთვე med., 2) არის e, ი და a, თუმცა ორა ინდ.-ევროპ. პრაენის შესაბამისად, 3) ინდ.-ევროპ. პალატიალი თანხმოვნები წარმოდგენილია გუტურალების სახით, 4) ინდ.-ევრ. ლაბიო-ველარები წარმოდგენილია დიალექტების მიხედვით: ლაბიალი ან გუტურალი თანხმოვნების სახით, 5) -i- ელემენტი ზმნის წარმოებაში. იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენილი დასკვნები თითქოს ააშეარავებს მასში centum ენას, მომხსენებელი არ სცნობს საკითხს საბოლოო გადაწყვეტილად, რადგანაც ტოქარულს აქვს აგრეთვე აღმოსავლური ჯგუფის რამოდენიმე ნიშანი: 1) -i- ელემენტი მიმღების წარმოებაში, 2)-i-ელემენტი ორის აგრეთვე ინდო-არიულშიც, 3) ასპირაციის დაკარგვა.

ორიოდე შეკითხვისა და მომხსენებლის პასუხის შემდეგ სხდომა დაიხურა.

1923 წლის 11 მარტის საჯარო სხდომის ოქმი № 3.

სხდომა გაიხსნა საღამ. 7 $\frac{1}{2}$, საათზე ვაუთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ღუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახც-ლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: პროფ. ქ. ძიელიძე, ს. გორგაძე, ი. აბულაძე, დ. მგელაძე, ს. ჯანაშია, მ. ხუბუა, ს. იორდანაშვილი, ვ. თოფურია, გენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველად სხდომაზე მოსმენილ და უცვლელად დამტკიცებულ იქმნა წინა 4 მარტის საჯარო სხდომის ოქმი. შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს სახელით წინადადება შეიტანა სვიმონ ყაუხჩიშვილისა და სვიმონ ვაჩინაძის საზოგადოების წევრებად არჩევის შესახებ. ორივე ერთხმად იქმნა არჩეული.

არჩევნების შემდეგ ბენ. ჩიქობავა კითხულობს მოხსენებას: „ე. წ. გრძელი ხმოვნები მთიულურში“¹⁾. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვარ. თოფურიამ, სვ. ყაუხჩიშვილმა და სერ. გორგაძემ.

პირველმა აღნიშნა, რომ 1. ასეთი საკითხის არაექსპერიმენტულად კვლევის დროს სწორი შედეგების მიღება შეუძლებელია; 2. იმის თქმა, თითქოს ჩეუბი და აყალ-მაყალი ბუნებრივი თქმის გამოვლინებისათვის ხელსაყრელ პირობებს იძლეოდეს, მიუღებელია; 3. მოვლენის გადაშენება ქართლურს ვერ მიეწერება: აქ დინამური მახვილია,— მოჰყავს გომარულის ნიმუშები; 4. გრძელი ხმოვნების არსებობა არ მოითხოვს მეტრიულ წყობას ლექსში: ნიმუშები: სვანური; 5. უკანასკნელ მარცვალზე მახვილის დასმა არღვევს ხმარების ზოგად წესს.

სვ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ მთიულურში, მოხსენების მიხედვით, ცხადია, რომ *de natura* გრძელი ხმოვნები არა გვაქვს, მაგრამ კითხვას სვამს, ხომ არა გვაქვს ჩვენ აქ გრძელი ხმოვანი *de positione*?

სერ. გორგაძეს შესაძლოდ მიაჩნია ამ მოვლენის დაკარგვა ლექსში ლექსთაწყობას მიეწეროს; მისი ზეგავლენით ხომ ხმოვნებიც კი იკარგებაო!

მომხსენებელი უპასუხებს: 1. აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, თუ როგორს პირობებში როგორ რეფლექსებს იძლევა ესა

¹⁾ დაბეჭდილია; იხ. „ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე“, IV. გვ. 332—348.

თუ ის მოვლენა, ასე ვთქვათ, სიმპტომატოლოგიის გზით შეიძლება ექსპერიმენტის გარეშეც მივაღწიოთ არასუბდექტურ დასკვნებს; 2. ჩხუბისა და აყალ-მაყალის დროს არის სიძნელე: სიძნელე დაკვირვებისა, მაგრამ რომ თქმის პროცესი ბუნებრივია, ე. ი. არაცნობიერი რომაა, ეს თავისთავად ცხადია; 3. ქართლური თვისი დინამური მახვილით, როგორც გადაშენების ფაქტორი, უსათუოდ მისაღებია მხედველობაში, რადგანაც მთიულეთი ყველაზე უფრო მჭიდროდ ქართლთან არის დაკავშირებული; 4. სვანურის ვითარება გარკვეულად ვერ ჩაითვლება, და გაურკვეველ გარემოებას კი არგუმენტად ვერ გამოვიყენებთ; 5. „უკანასკნელ“ მარცვალზე მახვილის არსებობა ზოგად წესს არ არღვევს: ერთმარცვლიანი სიტყვა ფონეტიკურად გაერთიანებულია. წინა სიტყვასთან, ასე რომ, მახვილი მაინც მეორე მარცვალზეა. 6. რომ de positione გრძელი ხმოვანი აქ არა გვაქვს, ეს იქიდანა სჩანს, რომ მოვლენა თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალზეა; ასე რომ, - ე- - სიტყვაში „კაცები“ შეიძლება იყოს მახვილიანი („გრძელი“), მაგრამ სიტყვაში „კაცებს“ არ შეიძლება იყოს ასეთი;

7. რაც შეეხება ლექსთაწყობით გამოწვეულ ხმოვნის დაკარგვას, ეს ხდება მართლაც, მიგრამ ლექსთაწყობის პრინციპად ამას ვერ გავხდით.

თავმჯდომარის ბოლოსიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

1923 წლის 18 მარტის საჯარო სხდომის ოქტი № 4.

სხდომა გაიხსნა საღამოს 8 საათზე. ვაჟთა პირველი ტექნიკურის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ა. ვალე-დიანი.

დაესწრნენ წევრნი: ს. გორგაძე, პროფ. ქ. კეკელიძე, ს. ვაჩნაძე, დ. მგელაძე, ს. ჯანაშვილი, ს. იორდანაშვილი, მ. ხუბუა, ს. ჩხენკელი, გ. თოფურია და გარეშე საზოგადოება.

მოხსენებას კითხულობს გარდამ თოფურია: „გომარული ს მორფოლოგია“.

მომხსენებელი ჯერ აცნობს დამსწრე საზოგადოებას გომარეთის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ბორჩალოს მაზრის, საერთოდ, და გომარეთის, კერძოდ, ეთნიურ შემადგენლობას; მათს ეკონომიკურსა და ადმინისტრატიულ ურთიერთობას და ამ ურთიერთობის ზეგავლენით ხსნის გომარულის ლექსიკურ თავისებურებათ. შემდეგ გადადის გომარულის მორფოლოგიაზე და ალნიშნავს:

1. ბრუნებაში: а. სიტყვა „ღმერთის“ ნათესაობ. და მოქმედებითში სხვადასხვა ვარიაციებს: ლვთის/ხვთის, ღთის, სამხოო/სამლეოთო და სხვ.

б.—ი ფუძიან სახელებში -ინის დაკარგვას: გიორგს და სხვ.

с. ნათესაობით ბრუნვაში მოქცეული მართული სიტყვის სანის დაკარგვას: მამლი უივილი დროსა; ამავე სანის დაკარგვას მიცემით ბრუნვაში, თუ იგი თანხმოვნიან ფუძესთან არის მოსალოდნელი.

д. მიმართულებითი ბრუნვისთვის სუფიქსად მუდამ თანის გამოყენებას.

е. წოდებით ბრ. -ო ბოლოსართის პარალელურად ვინის ხმა-რებას ცალკე, ან ორივეს ერთად: ციებავ! დავო!

ж. მრავლობითი რიცხ. -ებ- და ნ-ი სუფიქსების გამოყენებას და მათთან დაკავშირებით ფონეტიკურსა და სინტაქსურ მოვლენებს.

2. ზედსართავ სახელში შედარებითი და აღმატებითი ხარისხების აღწერილობით წარმოებას, გარდა: უფრო, უარესი და უკეთესისა და სხ.

3. რიცხვით სახელში ოცნებით თვლას: შვიდოცი, ოვა-ოცი; ჩვეულებრივ ასობით თვლის პარალელად: ორჯელასი, სამჯერასი (იშვიათად) და რიცხვთან სახელის შეთანხმებას.

4. ამათი გათვალისწინების შემდეგ გადადის ზმნის თავისებურ მოვლენებზე და მაზე დაწვრილებით ჩერდება (იხ. „ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში“: „ჩვენი მეცნიერება“, № 2 (14), 1924 წ.).

5. თავსართების ასიმილაციის გზით ცვლილებებს, ამავე გზით თავსართ მო-ს მა-დ შეცვლას და მის განმტკიცებას.

ზმნისზედა—თანდებულთა აღნუსხვის შემდეგ ასეთ დასკვნას იძლევა მოხსენებელი: გომარულს მორთოლოგიის მხრით ბევრი რამ საერთო აქვს ქართლურთანა და ჯავახურთან. სანამ უკანასკნელები დეტალურად არ იქმნებიან შესწავლილნი, მანამ გომარულის რომელიმე დიალექტურ ერთეულად (კილოდ, თქმად) გამოცხადება ნაადრევად მიმაჩნიაო.

მოხსენების გარშემო შეკითხვებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება დაიხურა სალ. 9¹/₂ საათზე.

1923 წლის 1 აპრილის საჯარო სხდომის ოქმი № 5.

სხდომა გაიხსნა სალომ. 7 ს. 25 წ. ვაჟთა პირველი ტექნიკურ-მის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახ-ვლედიანი.

დაქაწრნენ წევრები: ი. აბულაძე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. აკ. შანიძე, პროფ. დ. უჩნაძე, პროფ. ქ. კეპილიძე, დოც. ლ. მელიქ-სეთ-ბეგი, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე, დ. მგელაძე, ს. ჯანაშია, ბენ. ჩიქობავა, ს. ჩხერიშვილი, ვარ. თოფურია, მ. ხუბუა, ს. იორდანაშვილი და გარეშე საზოგადოება.

პირველად მოსმენილ იქმნა დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის .მოხსენება: „სომხური დიალექტი ტფილისში და მისი ურთიერთობა ქართულ ენასთან“. მომხსენებელმა შემდეგი დებულებები წამოაყენა 1. ტფილისში სომხური დიალექტი ერთი კი არ არის, არამედ არა ნაკლებ ორისა; ერთ-ერთ მათგანზე, შედარებით უფრო ძველზე, ლაპარაკობს სომხეთის სხვადასხვა ნაწილები-დან ტფილისში ძველად გაღმოსახლებული სომხების ჩამომავლობა, ე. ი. კლდისუბნისეული სომხობა; ხოლო მეორეზე, პირველთან შედარებით ახალზე, ლაპარაკობენ მეოვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნი-დან არან-სომხეთიდან ავლაბარში გაღმოსახლებული სომხები; პირველი-ნარევი, „აღმოსავლურ-დასავლური“ „გრაბარისეული“ გვარისაა, და მას მომხსენებელი განსაკუთრებით ტფილისის სომხურ დიალექტს უწოდებს; მეორე კი, როგორც წმინდა აღმოსავლური ხასიათის მარტინებელი, მას არსებითად ერევნის კილოს ერთ-ერთ თქმად მიაჩნია.

2. მომხსენებლის აზრით, ტფილისის სომხური დიალექტი თან-დათანობით საუკუნეთა განმავლობაში, -ე. ი. მოყოლებული ჯერ კი-დევ თუ ქრ. დ. წინ I საუკ. არა, ყოველ შემთხვევაში მე V-VI ს. ს. ქრ. შემდეგ, -უნდა იყოს განვითარებული, ხოლო მისი განსაკუთრებულ დიალექტად ჩამოყალიბება უნდა მიეკუთვნოს ხანას, არა უად-რეს მე-XIV საუკუნისა.

3. ტფილისის სომხური დიალექტი ქართულ ენასთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფება, რაიც გამოიხატება, ერთის მხრით, სომხურის ზეგავლენაში ქართულზე, და მეორის მხრით, ქართულის ზე-გავლენაში სომხურზე. ამათში პირველის ზეგავლენა გაცილებით სუსტია მეორესთან შედარებით.

3. ტფილისის სომხური დიალექტის წყალობით მისი ქართულ-თან მომიჯნეობისა, მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობისა თუ აღმინი-სტრატელი დამოკიდებულების გამო შეიქმნა ქართლური კილოს განსა-კუთრებული ტფილური ქცევა. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნი-შნული, ქართულის ზეგავლენა ტფილისის სომხურზე, რომელიც დიდად განირჩევა დანარჩენი სომხური კილოებიდან, გამოიხატა სამ ნაირად: უფრო საგრძნობლად ფონეტიკაში, ნაკლებ ლექსიკაში და ოდნავ მორ-

ფოლოვია სინტაქსში. მომხსენებელმა ამის დასამტკიცებლად წრავალი საყურადღებო მაგალითი მოიყვანა და დაასკვნა: ქართულის ზეგავლენით ტფილისის სომხურმა დიალექტმა ისეთი ფონეტიკური ნორმები შექმნა, რომ სამაგალითო გახდა თვით სომეხთათვისაც, იმდენად სამაგალითო, რომ სომეხთა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა აწ განსვენებულმა ღაზაროს აღახანცმა სომხური ბგერების შესახებ თავის 1874 წ. გამოცემულ წიგნაკში „დასავლურ“ სომხებს, რომელთაც უყვართ ბგერების დამახინჯება, ურჩია მაგალითი აელოთ ტფილელი სომხებიდან, რომელნიც, მისი აზრით, თავის მხრივ გაწვრთნილი არიან ქართველების მიერ.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, სერ. გორგაძემ, პროფ. აკ. შანიძემ და ვარ. თოფურიამ.

მოხსენებლის პასუხის შემდეგ სხდომამ მოისმინა პროფ. აკ. შანიძის მოხსენება: „ერთი საყურადღებო ლიტერატურული ცნობა გიორგი მთაწმინდელისა¹.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა და პროფ. კორნ. კიკელიძემ. მათ მომხსენებლის ინტერპრეტაცია სწორად ჩათვალეს. თავმჯდომარის ბოლო სიტყვის შემდეგ, რომელშიაც იგი პრეფიქსებზე მომხსენებლის მუშაობას შეხეხო და მას „ხანების ისტორიების“ უწოდა, საზოგადოების წევრად არჩეულ იქნა გიორგი ჭუმბურიძე, ხოლო საზოგადოების საბჭოს მეხუთე წევრად ვარლამ თოფურია.

გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ ერთ-ერთ მახლობელ კრებაზე წაკითხულ იქნას მოხსენება პროფ. ალ. ცაგარლის საენათმეცნიერო მუშაობის შესახებ და არჩეულ იქნეს იგი საზოგადოების საპატიო წევრად.

1923 წლის 22 აპრილის საჯარო სხდომის ოქმი № 6.

სხდომა გაიხსნა საღამ. 7. ს. 25 წ. ვაჟთა პირველი ტექნიკურის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: ს. გორგაძე, ი. აბულაძე, დოც. ლ. მელიქეთ-ბეგი, ვუკ. ბერიძე, დიმ. მგელაძე, პროფ. კ. კიკელიძე, პროფ.

¹, დაბეჭდილია; იხ. ტფილ. უნივერსიტეტის მოამბუ, ტ. II, 83. 398—416.

ა. შანიძე, სე. ჯანაშია, ვარ. თოთურია, ბენ. ჩიჭობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა სხდომათა ოქმების წაკითხვისა და უცვლელად დამტკიცების შემდეგ ბენ. ჩიჭობავამ წაიკითხა მოხსენება; „მთიულური: ფონეტიკა“.

სათანადო მოვლენათა მიმოხილვის შემდეგ მომხსენებელმა შემდეგი დასკვნები გააკეთა:

I. ბგერითი შემადგენლობის მხრივ მთიულურში საყურადღებოა: 1) კარის შენახვა ყველა იმ შემთხვევებში, სადაც მის ხმარებას ძველს ქართულშიაც ვხვდებით; 2) ზმის პრეფიქსად, -არა ხშირად, -მოცემული გარდამავალი ბგერა ჰ-ე-ს შუა, და ჰ-ე-ს ჰუა და 3) ვანით აღნიშნული ბგერის სხვადასხვაობა; მას მოეპოვება სხვა და-სხვა გრადაციები მისთვის შესაძლო დენტო-ლაბიალობის მაქსიმუმი-დან გარკვეული სახის ბილაბიალობამდი; ბანთან და განსაკუთრებით მანთან მისი სუბსტიტუცია მთიულურის ნიადაგზედვე ააშკარავებს ვინის გადახრას ბილაბიალობისაკენ.

II. მახვილი მთიულურში ამჟამად ორნაირია: ტონური, ჩვეულებრივად სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე, და დინამური მესამე მარცვალზე, თუ სიტყვა ორ მარცვლოვანზე მეტია, და ბოლოდან უკანასკნელზე, თუ სიტყვა სამმარცვლოვანზე ნაკლებია. პირველი, -ტონური, -გადაშენების გზაზეა შემდგარი, მაგრამ წინად უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო, მეორე თანდათანობით იკავებს პირველის ადგილს და ამჟამადაც უფრო იხმარება, ვინემ პირველი.

III. ფონეტიკურ ცვალებადობათა იმ კატეგორიაში, რომლის საფუძველს ფიზიოლოგიურ-მექანიკური ფაქტორი შეადგენს, უმთავრესად, ალსანიშნავია შემდეგი მოვლენები:

A ბგერათა გარდასკლის სფეროში: 1) უ>ო; უბრჯგუს ბილაბიალი ხასიათი და მახვილი არის მისი გამომწვევი ფაქტორი; 2) იე>ია, თუ „ე“ ბოლოდან მეორე მარცვალს ქმნის; მოვლენა ტონური მახვილით უნდა იყოს გამოწვეული; 3) ო>უა სიტყვის ბოლოში; ონის დავიწროება უნად დინამური მახვილის ზეგავლენას უნდა მიეწეროს; 4) ოვი>ოი; მოვლენას განსაზღვრავს ონის მეზობლობაში ვინის ლაბიალობის ზრდა და უკანასკნისმიერ ონსა და წინაენის მიერ ინს შორის ასეთი ბგერის შენახვის სიძნელე.

B. ბგერათა შენაცვლების სფეროში მომხსენებელს მოყავს მეტათეზის, სუბსტიტუციის, ასიმილაციის (სრულისა და ნაწილობრივის, ხმოვანთა და თანახმოვანთა შორის) და დისიმილაციის მაგალითები, ხოლო

ა. შანიძე, სვ. ჯანაშვია, ვარ. თოფურია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა სხდომათა ოქმების წაკითხვისა და უცვლელად დამტკიცების შემდეგ ბენ. ჩიქობავამ წაკითხა მომსენება; „მთიულური: ფონეტიკა“.

სათანადო მოვლენათა მიმოხილვის შემდეგ მომხსენებელმა შემდეგი დასკვნები გააკეთა:

I. ბგერითი შემაღენლობის მხრივ მთიულურში საყურადღებოა: 1) კარის შენახვა ყველა იმ შემთხვევებში, სადაც მის ხმარებას ქველს ქართულშიაც ვხვდებით; 2) ზმნის პრეფიქსად, -არა ხშირად, -მოცემული გარდამავალი ბგერა ჴ-ეს შუა, და ჴ-ე-ს შუა და 3) ვანით აღნიშნული ბგერის სხვადასხვაობა; მას მოეპოვება სხვა დასხვა გრადაციები მისთვის შესაძლო დენტო-ლაბიალობის მაქსიმუმი. სხვა გრადაციები მისთვის შესაძლო დენტო-ლაბიალობის მაქსიმუმი. გრადაციები მისთვის შესაძლო დენტო-ლაბიალობამდი; ბანთან და განსაკუთრებით გრადაციები მისი სუბსტიტუცია მთიულურის ნიადაგზედვე ააშკარავებს გინის გადახრას ბილაბიალობისაკენ.

II. მახვილი მთიულურში ამჟამად ორნაირია: ტონური, ჩვეულებრივად სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე, და დინამური მესამე მარცვალზე, თუ სიტყვა ორ მარცვლოვანზე მეტია, და ბოლოდან უკანასკნელზე, თუ სიტყვა სამმარცვლოვანზე ნაკლებია. პირველი, -ტონური, -გადაშენების გზაზეა შემდგარი, მაგრამ წინად უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო, მეორე თანდათანობით იკავებს პირველის ადგილს და ამჟამადაც უფრო იხმარება, ვინემ პირველი.

III. ფონეტიკურ ცვალებადობათა ირ კატეგორიაში, რომლის საფუძველს ფიზიოლოგიურ-მექანიკური ფაქტორი შეადგენს, უმთავრესად, აღსანიშნავია შემდეგი მოვლენები:

A ბგერათა გარდასვლის სფეროში: 1) უ>ო; უბრჯგუს ბილაბიალი ხასიათი და მახვილი არის მისი გამომწვევი ფაქტორი; 2) ი>ია, თუ „ე“ ბოლოდან მეორე მარცვალს ქმნის; მოვლენა ტონური მახვილით უნდა იყოს გამომწვეული; 3) ო>უა სიტყვის ბოლოში; მინის დავიწროება უნად დინამური მახვილის ზეგავლენას უნდა მიეწეროს; 4) ოვი>ოი; მოვლენას განსაზღვრავს ონის მეზობლობაში ვინის ლაბიალობის ზრდა და უკანაენისმიერ ონისა და წინაენის მიერ ინს შორის ასეთი ბგერის შენახვის სიძნელე.

B. ბგერათა შენაცვლების სფეროში მომხსენებელს მოყავს მეტაონების, სუბსტიტუციის, ასიმილაციის (სრულისა და ნაწილობრივის, ხმოვანთა და თანახმოვანთა შორის) და დისიმილაციის მაგალითები, ხოლო

IV. იმ ფონეტიკურ ცვლილებათა საილუსტრაციოდ, რომელთა საუკუნეელს უმთავრესად ფსიქოლოგიური ფაქტორი შეაღენს, ანალოგიური წარმოებისა და კონტამინაციის შემთხვევები.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობას იღებენ პროფ. ა. შანიძე, ვარ. თოფურია, ს. გორგაძე, დ. მგელაძე, სვ. ჯანაშია და პროფ. გ. ახვლედიანი.

მომხსენებლის პასუხის შემდეგ უნდა წაკითხულიყო პროფ. ა. შანიძის მიერ მოხსენება: „დავით ალმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებული სიგლის დასაწყისი სიტყვები“, მაგრამ გადაიდო, რადგან გვიან იყო.

სხდომის დახურვის წინ ვუკ. ბერიძის წინადაღებით საზოგადოების წევრებიდ ერთხმად იქნენ არჩეული: პროფ. ი. მოსეშვილი, სარგ. კაკაბაძე და გ. ჩიტაია.

სხდომა საათის $10\frac{1}{2}$ -ზე დაიხურა.

1923 წლის 29 აპრილის საჯარო სხდომის ოქმი № 7.

სხდომა გაიხსნა სალ. 7 საათზე ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ლუნიძის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახ ვ ლ ე - დ ი ა ნ ი.

დაესწრნენ წევრნი: გიორგი ჩიტაია, ს. გორგაძე, ი. აბულაძე, პროფ. ა. შანიძე, პროფ. დ. უზნაძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ი. მოსეშვილი, დიმ. მგელაძე, ლოკ. ლ. მელიქეთ-ბეგი, სვ. ჯანაშია, სარგ. კაკაბაძე, ვარ. თოფურია, მაკ. ხუბუა, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 22 აპრილის სხდომის ოქმის წაკითხვისა და უცვლელად დამტკიცების შემდეგ პროფ. აკ. შანიძემ წაიკითხა მოხსენება: „დავით ალმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებული სიგლის დასაწყისი სიტყვები“¹⁾.

სარგ. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ დასაწყისი კომპლექსის გარჩევა მეტად ძნელი იყო, პირველი ნაწილი „მე დავითს“ რომ ამოვიკითხე, მას შემდეგ სათანადო ყურადღება ბოლოს ვერ მივაპყარ; მომხსენებლის კითხვა სწორად უნდა ჩაითვალოს: „მიწყიეს“ უნდა იყოს და არა „მაწვიეს“; არ ეთანხმება მომხსენებელს ფრაგმენტ - „ბითა“ -ს ამოკითხვაში: უნდა ყოფილიყო „ბრძანებითა“ და არა „ნებითა“, თუ „წყალობითა“, როგორც ამას მომხსენებელი ფიქრობს.

¹⁾ დაბეჭდილია; იხ „ჩვენი მეცნიერება“ 1923 წლის, № 8.

მომხსენებელი თავის პასუხში იზიარებს ოპონენტის მიერ წამოყენებულ უკანასკნელ შესაძლებლობას, რის შემდეგაც სხდომაშ მოისმინა პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება: „*Dativus praedicatus* ოსურ ენაში“¹.

მომხსენებელს რამდენიმე შეკითხვას აძლევენ, რაზე პასუხის გულის შემდეგ, მიმდინარე საკითხების განხილვისას სხდომას გამოაქვს დადგენილება:

1. ერთი კვირის განმავლობაში შეიკრიბოს საწევრო გადასახადის ნაწილი მაინც; 2. აღძრულ იქნეს განათლების კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა ერთდროული დახმარებისათვის წინასწარი დასაფარივად; 3. მიენდოს საბჭოს გამოარკვიოს ა შისახარჯების დასაფარივად; 4. მიენდოს საკირო საკირო თანხათა გამოსათხოვად. ნათლების კომისარიატის წინაშე საჭირო დასასრულ, საზოგადოების წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: დასასრულ, საზოგადოების წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ:

გიორგი ბაქრაძე და სერგი ჯიქია.

საათის 10-ზე სხდომა დაიხურა.

1923 წლის 6 მაისის საჯარო სხდომის ოქმი № 8.

სხდომა გაიხსნა საღ. 7 ს. 25 წ. ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: ი. აბულაძე, პროფ. დ. უზნაძე, სერ. გორგაძე, პროფ. ა. შანიძე, დ. მგელაძე, პროფ. ი. მოსეშვილი, ვ. თოფურია, პროფ. ჯიქია, სვ. ჯანაშია, სოლ. იორდანაშვილი, მაკ. ხუბუა, გ. ჭუმ-სერ. ჯიქია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველად წაკითხულ და ზოგიერთ შესწორებათა შეტანით დამტკიცებულ იქნა 29 პპრილის სხდომის ოქმი, რის შემდეგაც სვ. ჯანაშიამ წაიკითხა მოკლე მოხსენება: „ლმერთი-სიტუაცია შესატყვისობისათვის აფხაზურში“².

მოხსენების გამო პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს „ლმერთი“-ს სახელწოდებას აგრეთვე სვანურსა და ებრაულში.

¹⁾ დაბეჭდილია; იხ. „ტფილ. უნივერსიტ. მოამბე“ ტ. III, გვ. 127—141.

²⁾ დაბეჭდილია ამავე „წელიწდეულში“, იხ. გვ. 69-73.

სერ. გორგაძე ყურადღებას იქცევს იმ გარემოებას, რომ „ლმერთი“-ს სახელწოდების ასეთი გავება შეიძლება ქართულისათვისაც გამოსადევი აღმოჩნდეს: მიუთითებს „თ“ ბგერაზე სიტყვაში „ლმერთი“. შეუძლებელი არ არის, იგი მრავლობითის ფორმანტი იყოს.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდევ კრებამ მოისმინა ვარ. თოფურიას მოხსენება: „გომარულის ფონეტიკა“. მომხსენებელი დაწვრილებით აწერს გომარულის დამახასიათებელ ფონეტი კურ მოვლენებს და შემდევ დებულებებს აყენებს:

I. ბგერითი შემადგენლობის მხრივ გომარულში აღსანიშნავია:

1. ბგერა, რომელიც საკუთარ სახელებს ან მის ნაცვალ მეტსახელებს დაერთვის და ისიც სახელობით ბრუნვაში;
2. ირაციონალი ბგერა, რომელიც სანის ბგერინაცვლობას ეწევა ტარისა და ნაწილობრივ წილის წინ;
3. გარდამავალი ბგერა პ/ს, მორფოლოგიური ელემენტის სახით რომ გვევლინება; მისი ხმარება იშვიათია.

II. მახვილი დიდსა, პატარა გომარეთსა და ახაში, ნაწილობრივ კლდე-ისარში გარკვევით ისმის ორმარცვლოვან სიტყვაში ბოლობან მეორეზე და სამსა და მეტმარცვლოვანში—მესამეზე. კითხვის ინტონაცია მუდამ კითხვით ნაცვალსახელსა ხვდება ანდა ზმნას ბოლოდან მეორე მარცვალზე.

III. ბგერითი ცვლილებებიდან: აღსანიშნავია 1. ვა>ო: ზმნებ-ში, ნამყო სრულის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში; 2. ამ>უა და 3. ოვე>უე, ოვა>უა.

მომხსენებელს მოჰყავს: ასიმილაცია-დისიმილაციის მაგალითები, როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში; მეტათეზის ნიმუშები ბილაბიალ, ლიკვიდ, ნაზალ და სპირანტ ბგერათა; აღნიშნავს ჟავს დაკარგვას ხმოვნების წინ, აგრეთვე სანის დაკარგვას წილის, პარის და ტარის წინ; თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივებისა და თანხმოვნის განვითარების შემთხვევებს. დასასრულ, ჩერდება ანალოგიისა და სუბსტიტუციის ნიმუშებზე.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ა. შანიძემ, სერ. გორგაძემ, დიმ. მგელაძემ, სვ. ჯანაშიამ, ბენ. ჩიქობავამ და პროფ. გ. ახვლედიანმა.

მომხსენებლის საპასუხო სიტყვის შემდევ სხდომა 10 საათზე დაიხურა.

1923 წლის 13 მაისის საჯარო სხდომის ოქმი № 9.

სხდომა გაიხსნა საღ. 7 საათზე ვაჟთა პირველი ტექნიკურის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლე-დიანი.

დაესწრნენ წევრნი: ი. აბულაძე, პროფ. ქ. კეკელიძე, პროფ. ი. მოსეშვილი, სერ. გორგაძე, პროფ. დ. უზნაძე, დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვარ. თოფურია, მაქ. ხუბუა, სერ. ჯიქია, პროფ. ა. შანიძე, ბ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 6 მაისის სხდომის ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ პროფ. დიმ. უზნაძემ წაიკითხა მოხსენება: „სახელდე-ბის ფსიქოლოგიური საფუძვლები საფუძვლები¹⁾“.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლისას ბენ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც მომხსენებელი ემყარება, ვერ მოგვცემს ჩვენ შესაძლებლობას გავითვალისწინოთ, თუ როგორ ხდება პირვანდელი სახელდება, ე. ი. სახელდება ენის წარმოშობისას; უაზრო სიტყვები შორეული ასოციაციით უსათუოდ უკავშირდებიან ცდის პირის ცნობიერებაში, თუნდაც მისდაშეუგნებლად ამ ცნობიერებაში უკვე არსებულ მარაგს და ბადებენ განწყობილებას ამა თუ იმ სახელის ამა თუ იმ სახის ობიექტისადმი განსაკუთვნებლად; ეს ენობრივი მარაგი არ გააჩნია ადამიანს ენის გაჩენისას, და ეს კი არსებითად განასხვავებს პირვანდელ სახელდებას ენის წარმოშობის შემდეგ არსებული მსგავსი შემთხვევებიდან.

პროფ. გ. ახვლედიანმა კი სხვათა შორის ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიუღებელია ის აზრი, თითქოს ობექტსა და მის აღმნიშვნელ სიტყვას შორის არსებობდეს სხვანაირი კივშირი, თუ არ პირობითი და შემთხვევითი.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ სხდომამ მოისმინა პროფ. ა. შანიძის მოკლე მოხსენება: „პროფ. ალ. ცაგარელი, რომ როც ენათმეცნიერი“.

მომხსენებელმა მოიყვანა პროფ. ალ. ცაგარლის ბიოგრაფიული ცნობები და შემდეგ დაახასიათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მისი გამოკვლევები: „Обзор сравнительной морфологии иберий-

¹⁾ დაბეჭდილია: ქართულად, იხ. ჩვენი მეცნიერება 1923 წლ. № 2-3, გვ. 27-55; გერმანულად, სათაურით: „Ein experimenteller Beitrag zum Problem der psychologischen Grundlagen der Namengebung“-იხ. „Psychologische Forschung.“ Bd. V., Heft 1/2, გვ. 24-43.

ской группы кавказских языков," „О предполагаемом родстве груз. языка с индо-европейскими“, „О грамматической литературе грузинского языка“, „Мингрельские этюды“, აღნიშნა შის მიერ ზურაბ შანშოვანის გრამატიკის გამოცემის ფაქტი, და დასასრულ დაასკვნა, რომ პროფ. ალ. ცაგარელი ქართული ენათმეცნიერების დამაარსებლად უნდა ჩაითვალოსო.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქმნა დადგენილი: დამსახ. პროფესორი ალ. ცაგარელი არჩეულ იქნეს საზოგადოების საპატიო წევრად; ეს ეცნობოს მას წერილობით.

1923 წლის 20 მაისის საჯარო სხდომის ოქმი № 10.

სხდომა გაიხსნა საღამოს $7\frac{1}{2}$. ს. ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46) თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრენ წევრნი: გ. ჩიტაია, პროფ. ი. მოსეშვილი, ს. გორგაძე, დ. მგელაძე, მაკ. ხუბუა, სტ. ჩხერიმელი, სერ. ჯიქია, პროფ. ა. შანიძე, ს. იორდანაშვილი, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 13 მაისის სხდომის ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ ბენ. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულ ში“¹.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ა. შანიძემ და პროფ. გ. ახვლედიანმა. მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ 9. ს. 35 წ. სხდომა დაიხურა.

1923 წლის 24 ივნისის საჯარო სხდომის ოქმი № 11

სხდომა გაიხსნა საღ. 7 საათ. 35 წ. ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრენ წევრნი: პროფ. დ. უხნაძე, მ. ხუბუა, სვ. ჯანაშია, პროფ. ა. შანიძე, პროფ. პ. კეკელიძე, გ. ჭუმბურიძე, ვარ. თოფურია, სტ. ჩხერიმელი, სარ. კაკაბაძე, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 20 მაისის სხდომის ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების

¹⁾ დაბეჭდილია (მრავალი შეცომებით); იხ. „ჩვენი მეცნიერება“ 1923 წლ. № 2-3, გვ. 69-87.

შემდეგ სხდომაშ მოისმინა სარგის კაკაბაძის მოხსენება: „ზოგი-
ერთი მოსაზრებანი სახარების ქართული თარ-
გმჩის შესახებ ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირე-
ბით“¹.

მოხსენების გამო პროფ. ა. შანიძემ შენიშნა, რომ სვანიშმებზე
ლაპარაკის ღროს მეტი სიფრთხილეა საჭირო, ვინემ ამას მომხსენე-
ბელი იჩენს და რომ ზოგიერთი დებულებები დასაბუთებულად ვერ
ჩაითვლება.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ სხდომა 9 ს. 45 წუთზე
დაიხურა.

1923 წლის 23 ოქტომბრის საჯარო სხდომის ოქმი № 12

სხდომა გაიხსნა სალამოს 7 ს. 10 წმზე ვაჟთა პირველი ტექ-
ნიკუმის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ.
ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე, პროფ. ი. მოსე-
შვილი, პროფ. კ. კეკელიძე, გ. ბაქრაძე, პროფ. ა. შანიძე, ს. გორ-
გაძე, ვ. თოფურია, ს. იორდანაშვილი, მ. ხუბუა, ს. ჯიქია, ბენ. ჩი-
ქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველად მოხსენებას კითხულობს პროფ. აკ. შანიძე: „ვა ემე-
ტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის
ისტორიისათვის“². შეკითხვის შემდეგ გაიძართა აზრთა გა-
ცელა-გამოცელა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ს. კაკაბაძემ,
პროფ. კ. კეკელიძემ, ვ. თოფურიამ და ბენ. ჩიქობავამ.

სარგ. კაკაბაძემ მხარი დაუჭირა მომხსენებლის აზრს ჰაემეტ და
ხანმეტ კილოთა ურთიერთობის შესახებ; კერძოდ, შეეცადა ისტორი-
ული ცნობებით შეემაგრებინა ხანმეტი კილოს დალუპვა-ჩამოქვეითე-
ბის შესაძლებლობა მე VII-VIII საუკუნეში.

პროფ. კ. კეკელიძე კი სკეპტიკურად შეხვდა ქართული მწერლო-
ბის ამა თუ იმ კილოზე აღმოცენების მტკიცების შესაძლებლობას და
ნააღრევ ჰიპოთეტურობაში ჩამოართვა მომხსენებელს ხანმეტისა და
ჰაემეტი კილოს ურთიერთობის შესახებ მისი აზრი.

¹⁾ დაბეჭდილია; იბ. ს. კაკაბაძე, უნაისტორიონ ძიებანი, ტფ.
1924, გვ. 1-37.

²⁾ დაბეჭდილია; იბ. ტფილ. უნივერსიტეტ. მთამბე, ტ. III, გვ.
354-363.

თავმჯდომარის ბოლო სიტყვის შემდეგ სხდომამ პროფ. ა. შანიძის თმეტჯდომარეობით მოისმინა პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება: „სამხრეთ ოსეთში ლინგვისტური მოგზაურობის შესახებ წინასწარი მოხსენება.“

მომხსენებელმა ოღნიშნა, რომ ეს მოგზაურობა, ისე როგორც სხვა მოგზაურობათა მთელი რიცხვი, მოეწყო საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ ამავე საზოგადოების წევრის, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი გამგის კუკ. ბერიძის თვალსაჩინო დახმარების წყალობით, რისთვისაც იგი განსაკუთრებული მადლობის ღირსია.

„მოხსენებაში მხოლოდ ზოგად დებულებებსა და მოგზაურობის საერთო შედეგ-დასკვნებზე შევჩერდები; ცალკე საკითხები კი ცალკე მოხსენებებში იქნება გამუქებულის, „-განაცხადა მომხსენებელმა. მისი სიტყვით, მოგზაურობის მიზანს შეადგენდა: 1) შეემოწმებინა ვსევ-მილერის მიერ შეგროვილი ტექსტები; 2) გამოერკვია, ოსური ენის რომელ კილოზე იყო თარგმნილი ი. იალლუზიძის მიერ სასულიერო წიგნები გასული საუკუნის მეოცე წლებში და 3) ჩაეწერა ახალი მასალები.

მოგზაურობა მომხსენებელს დაუწყია რაჭიდან, ოსების პირველ საზოგად. კულტუროდან. ჩასავალის ხეობის ოსები, მომხსენებლის აზრით, ოსების იმიგრაციის პირველ ტარლად შეიძლება ჩაითვალონ: ამას მოწმობს მათი ენის არქაიზმები.

კულტუროდან მომხსენებელი გადმოსული ჯავაზე და აქიდან ცხინვალში, აქიდან კი კოშკში; ამ რაიონიდან უნდა ყოფილიყო ი. იალბუზიძე.

ზოგად დებულება-დასკვნათა შორის მომხსენებელი იღნიშნავს შემდეგს: 1) სხვათა სიტყვის გადმოსაცემად იხმარება ნაწილაკი „დამ“ — ზსლგს; 2) ბევრ შემთხვევაში, სადაც წმინდა „ა“-ს გულისხმობდენ, იგი არ მოიპოება; მის მაგიერ ადგილი აქვს უკანაენისმეირ ბერის; 3) პროთეტული ხმოვნის საკითხი ცოცხალი თქმის დაკვირვებას სავსებით გაუმართლებია¹⁾, 4) ქსნის რაიონის, მაგალითად „ქ“, „ც“ ჯავის „შ“ „ზ“-ს (ან „ჯ“, „ჩ“-ს) უდრის; ქსნის რაიონის ოსობა ამით ჩრდილო ისობას ეკვრის ენობრივად; აქედანვე ჩანს, რომ ქსნის ოსები უფრო გვიან გადმოსახლებულნი არიან; 5) ზოგადი ფონეტიკის ოვალსაზრისით საინტერესოა ჟ-ის ჭ-ით შენაცვლება

¹⁾ ამის შესახებ იხ. მომხსენებლის პროფ. გ. ახვლედიანის წერილი, „ჩვ-ნი მეცნიერება“ № 2-3, 1923 წ., გვ. 62-68.

რაჩსომ (რაისომ“-ით ალინიშნებოდა შეცომით) - რაიქსომ (ჯავაში) — „დილას“; საგულისხმოა ნასესხები ქართული სიტუვების კანის გადმოცემა „წ“, „ჭ“-თ: კიმასი (ადგილის საკუთ. სახელია); წი-მასი, ჭიმასი; კევრი: კევრი... 7) ალსანიშნავია ენის ფორმალ მხა-ლები ქართულის გავლენა: ოსურ საუბარში ქართულის არამცოდნე ზოგგან ხმარობს სიტუვებს „დედასა“, „იქნება“ და ამას უთანხმებს თავის ენის კონსტრუქციას; 8) „ქაჯური ენის“ საკითხიც გარევე-ულა: ეს „ენა“ უმთავრესად ქალების მიერ იხმარება, არის იგივე ოსური, მხოლოდ ყოველ მარცვალს დაერთვის - „ად“-მარცვალი²⁾.

მომხსენებლის აზრით სამხრეთ ოსურის შესწავლა მომავალში უნდა მიიმართოს ქსნისა და ორუსოს ხეობისაკენ, და შემდგომ დი-გორისაკენ. მოგზაურობაში მომხსენებელს დაუყვით ერთი თვე და ჩაუწერია 40 ზღაპარი და 100-დე გამოცანა.

მოხსენების შემდეგ ოსური ლაპარაკის ნიმუშები ნაჩვენებ იქ-ნა დიკტოფონით, რომლითაც მომხსენებელს უწარმოებია ხანდახან ჩაწერა.

სხდომა საღ. 10 ს. 20 წ. დაიხურა.

1923 წლის 4 ნოემბრის საჯარო სხდომის ოქმი № 13.

სხდომა გაიხსნა საღ. 7 ს. 25 წ. ვაუთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლი-დიანი.

დაესტრნენ წევრნი: ი. აბულაძე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე, მ. ხუბუა, დ. მგელაძე, ვარ. თოფურია, ს. იორდანაშვილი, ს. კაკაბაძე, პროფ. ა. შანიძე, ს. ჩხერიმელი, ზენ. ჩიქობავა და გარე-შე საზოგადოება.

პირველად კრებამ მოისმინა და დაამტკიცა უკანასკნელი ორი სხდომის ოქმი, რის შემდეგ დიმ. მგელაძემ წაიკითხა მოხსენება:

„უდური ენის გამოკვლევის ცდა“.

გასულ ზაფხულს მომხსენებელი საენათმეცნიერო საზოგადოე-ბის დავალებით ადგილობრივ, — კახეთში გადმოსახლებულ უდებთან სწავლობდა მათ ენას. მომხსენებელი შეეხო მათი გადმოსახლების ისტორიას, მათ ახლანდელ მდგომარეობას; აღნიშნა, რომ სარწმუ-ნოებრივად უდები სამ ნაწილად იყოფიან: გამუსლიმებული, გრიგო-

²⁾ ამის შესახებ იხ. პროფ. გ. ახვლედიანის წერილი „ქაჯური ენის ნიმუში ოსურში“, „ჩვენი მეცნიერება“ № 11-12 1924 წ., გვ. 80—82.

რიანი და მართლმადიდებელი ქრისტიანები; უკანასკნელთ გურჯებს, ე. ი. ქართველებს ეძახიან.

მათი ენის შესახებ საკუთარ დაკვირვებებს სანამ გაღმოგვცემა, მომხსენებელმა დაწვრილებით აღნუსხა უდურის შესახებ არსებული ლიტერატურა Klaprothიდან დაწყებული და Dirciot გათავებული, თან ის გარემოება აღნიშნა, რომ უდურის ბუნების გასარკვევად მკვლევარი საჭიროა იცნობდეს სომხურს, სპარსულსა და აზერბეიჯანულ ენებს, აგრეთვე და კიდევ უფრო დაღესტნის ენა-კილოებს.

შემდეგ მომხსენებელმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ რუსული ანბანის გამოყენება უდურის ბევრათა აღსანიშნავად, როგორც ამას აქამდი ქონდა აღგილი. უთუოდ შეუფერებელია; გაცილებით უფრო ხელსაყრელია ნიშნებით უფრო მდიდარი ქართული ანბანი; მომხსენებელს ამ უკანასკნელის საშვალებით უწარმოებია ტექსტების ჩაწერა; მას დასჭირებია დამატებითი ნიშნების შემოღება; ბევრათა სრული ოდენობის გაღმოცემას 46 ასო მოსდომებია.

ამ წინასწარი ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მომხსენებელმა წაიკითხა და გრამატიკულად გაარჩია მის მიერ ჩაწერილი ერთი ზღაპრის ნაწილი. საჭიროებისდაგვარად მომხსენებელი არკვევდა სათანადო ფონეტიკურ, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს.

მოხსენების შემდეგ პროფ. ა. შანიძემ, ს. კაკაბაძემ და ვარ. თოფურიამ შეკითხვები მისცეს მომხსენებელს.

მომხსენებლის განმარტების შემდეგ სხდომას უნდა მოესმინა ი. აბულაძის მოხსენება: „უძველესი ქართველი მემატიანის სპარსული წყარო“, მაგრამ სასურველად იქნა მიჩნეული მისი გადადება, რადგანაც უკვე გვიან იყო.

დასასრულ, საზოგადოების საბჭოს დასტურითა და პრეზიდიუმის წარდგენით ერთხმად აირჩიეს წევრებად პეტრე მირიანაშვილი და გიორგი ჯაკობია.

სხდომა 10 ს. 35 წ. დაიხურა.

1923 წლის 4 დეკემბრის საჯარო სხდომის ოქმი № 14.

სხდომა გაიხსნა სალ. 8 ს. საქართველოს მუზეუმის ერთ-ერთ ოთახში; თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: სარ. კაკაბაძე, პროფ. კ. კეკელიძე, სვ. ყაფა-

ჩიშვილი, გ. ჯაფობია, ვ. თოფურია, მ. ხუბუა, სოლ. იორდანაშვილი, პროფ. ა. შანიძე, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველად სხდომამ მოისმინა და უცალელად დაამტკიცა წინა 4 დეკემბრის სხდომის ოქმი. შემდეგ ვაჩ. თოფურიამ წაიკითხა მოსხენება: „ორმაგი უარყოფა ქართულში ში.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. ა. შანიძემ, ს. კაკაბაძემ, პროფ. კ. ქვემილიძემ, ბენ. ჩიქობავამ და პროფ. გ. ახვლედიანმა.

მომხსენებლის ძირითად დებულებებს ყველა მისაღებად სთვლიდა, ხოლო ნაშრობს დადებითად; დავა გამოიწვია შემდეგმა საკითხება: თანამედროვე ქართულში ორმაგი უარყოფის ხშირი ხმარება რამდენად მიეწერება რუსულის ზეგავლენას; მომხსენებელი რუსულის ვავლენას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა და მთავარ წარმომშობშეუროდ კილოუბი მიაჩნდა, ოპონენტები კი რუსულის გავლენას უფრო მნიშვნელოვნად სთვლიდენ.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ 10 ს. სხდომა დაიხურა.

1924 წლის 8 იანვრის საჯარო სხდომის ოქმი № 15.

სხდომა გაიხსნა საღამოს 8 ს. 15 წ. ცენტრალქივის შენობაში (ლენინის ქ. № 48); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრენ წევრნი: ს. კაკაბაძე, ს. ჩხერიძე, ს. გორგაძე, ს. იორდანაშვილი, მ. ხუბუა, ვ. თოფურია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველად მოსმენილ და უცალელად დამტკიცებულ იქნა წინა (1923 წლ. 4. XII-ის) სხდომის ოქმი.

შემდეგ ბენ. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება: „-ყე ნაწილა-კი ფერედნულში”²⁾.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ვ. თოფურიამ, რომელმაც რიგი შენიშვნებისა გააკეთა, ს. გორგაძემ და ს. კაკაბაძემ.

ს. გორგაძემ სხვათა შორის უსაყველურა მომხსენებელს, რომ

¹⁾ დაბეჭილება: ი. აბაშე აზელიშვილში, გვ. 74—116.

²⁾ დაბეჭილება უცალელად (გავრცელებილი სათაურით): „-ყე ნაწილა-კი ფერედნულში და მისი მინიჭილობა გრამატიკა-ლოღიკის ურთიერთობის თვალსაზრისით”, ი. ა. გ. ვ. გვ. 32—68.

იგი ლოლიკის ტერმინებს ებრძვის და იმავე დროს თითონ ხმარიბს მათ.

მომხსენებლის განმარტება-პასუხსა და თავმჯდომარის ბოლო სიტყვას შემდეგ საათის 11-ზე სხდომა დაიხურა.

1924 წლის 15 იანვრის საჯარო სხდომის ოქმი № 16.

სხდომა გაიხსნა საღამ. 8. ს. 20 წ. ცენტრალური შენობაში (ლენინის ქ. № 48); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრენ წევრნი: ს. კაკაბაძე, პროფ. ქ. ქიშელიძე, ს. გორგაძე, სვ. ჯანაშია, დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგი, გ. ხუბუა, ს. იორდანაშვილი, პროფ. ა. შანიძე, ვ. თოფურია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველი მოსმენილ და უცვლელად დამტკიცებულ იქნა წინა 8 იანვრის სხდომის ოქმი, რის შემდეგ დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგმა წაიკითხა მოხსენება: „ქვემო ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურის თვის დალიდ“.

მომხსენებელი ვრცლად ეხება საკითხს, ლიტერატურაში არსებულ ინტერპრეტაციას რეზეუმეს უკეთებს და ბოლოს თავისი შეხედულებაც მოჰყავს.

„ე. წ. ქვემო ქართლი,—ამბობს მომხსენებელი,—სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი ისტორიაში, როგორც მაგალითად: 1. სომხითი, 2. გაჩიანი (*ჭავჩნევა*), 3. ტაშირი (*შაշხელი: ხრებელ შაշხელი*), 4. გუგარეთი (*ჭილაძე - გრაფურეთი*), 5. გადაბანი (*ჭარემან-ჭარემანები თუშარება*); 6. ჭრადულო და სხვა.

უცელა ეს სახელწოდებანი სავსებით ვერ ფარვენ ერთმანეთს ვერც ლოკალურად და ვერც ტემპორალურად, ვინაიდან ზოგიერთს ფართო მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთს კი ვიწრო, ზოგს ერთი მნიშვნელობა ჰქონდა ერთს ეპოქაში, ხოლო მეორე სხვა ეპოქაში. ერთი სიტყვით, უცელა ზემოდასახელებულ სახელწოდებათა შინაარსი ცვალებადი ყოფილა ძველად... ამ სახელწოდებათა განხილვა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მათი შინაარსის გამორკვევა სინტერესო, როგორც პირველი ცდა ქვემო-ქართლის ბელ-ილბლის გამორკვევისა ეთნოლოგიური თვალსაზრისით.

შვიდ მთავარ სახელწოდებათაგან, რომლებითაც სხვადასხვა დროს ქვემო ქართლი ან რომელიმე მისი ნაწილი ცნობილი იყო

მაგრამ მოხსენების ნაკლად მიიჩნია საკითხის-ტერმინთა ფილოლო-გიური ანალიზის საშვალებით გადაწყვეტის ცდა; მანვე მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ კლასიკურ მწერლთა ცნობის თანახმად ეროვნულ ერთეულთა ფორმაცია ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული იმ დროს, რომლის შესახებაც ძიება სწარმოებს; აღნიშნა აგრეთვე ისტორიული ფაქტი, რომ გეოგრაფიული ნომენკლატურის სახით „ხევ“-ის („ჭირ“) შემცველი სიტყვები იხმარება ამ კუთხეში, და აქიდან გამომდინარე დასკვნები გამოყენებული არ არის... ცურტავ-გაჯიანის შესაძლო ადგილმდებარეობისა და ზოგიერთი სხვა ტერმინების გავების შესახებაც მომხსენებლისგან განსხვავებული აზრი გამოთქვა.

პროფ. ა. შანიძემ აკად. ნ. მარის შეხედულებათა უკრიტიკოს აღიარება უსაყვედურა მომხსენებელს (სომხეთის ანალიზის გამო). კერძოდ, შეუძლებლად მიიჩნია ს. ქავთველის „ქართველი“-სიტყვის თარგმანი იყოს მოცემულიო.

სერგ. გორგაძემა და პროფ. გ. ახვლედიანმა (თავმჯდომარემ) ქავთველის მომხსენებლისეული გაგება შესაძლებლად ჩათვალეს, თუმცა აღიარეს, რომ ამ შემთხვევაში ამ შესაძლებლობას დამამტკიცებელი საფუძვლები ესაჭიროებაო.

მომხსენებელმა ყველა ოპონენტებს გასცა პასუხი; კერძოდ, ს. ქავაბაძეს შენიშნა რომ, კამათში იგი თვითონ მიმართავს და ემყარება ფილოლოგიურ ანალიზს (ხევ-ჭირ-ის შემთხვევა); მომხსენებელი კი ადგას იმ გზას, რომლითაც მუშავდებოდა აქამდე მაინც ისტორიის ეს წინა პერიოდი.

შემდეგ სხდომამ მოისმინა პროფ. აკ. ზანიძის მოკლე მოხსენება: „დიონისი ვეფხის ტყაოსანში¹.

მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია: მომხსენებლის აზრი სხდომამ გაიზიარა.

საათის 11-ზე სხდომა დაიხურა.

1924 წლის 10 თებერვლის საჯარო სხდომის ოქმი № 17.

სხდომა გაიხსნა დილის 11 ს. 25 წ. ცენტრარქივის შენობაში (ლენინის ქ. № 48); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დიესტრანს წევრნი: მ. ჯანაშვილი, პროფ. კ. კეკელიძე, ს. კავაბაძე.

¹) დაბეჭდილია; იხ. „ჩვენი მეცნიერება“ 1924 წ. № 8.

დოკ. ლ. მელიქიშვილი-ბეგი, ვარ. თოვლურია, პროფ. ა. ბოსტოვილი, გ. ხუბუა, სტ. ჩხერიძელი, ბენ. ჩიქობავა და კატერე საზოგადოება.

პირველად სხდომაში მოისმინა და უცველესად დაამტკიცა წილი 15 იანვრის სხდომის ოქტი. შემდეგ მოხე ჯანაშეფილმა წარკითხა მოხსენება: „ინგილოური ჰაე და ჰაემეტი ტეტსტები ადიშისა და ხანმეტურთან დაკავშირებით“.

ინგილოურში ხმარებული ჰაე პრეფიქსი (მაგალ. პუნადიანი, პუტრიალნი, პუყვარს, პუმლერის, პუნდოდა) მომხსენებელს ძველის ძველ მოვლენად მიაჩნია: მასში იგი ხედავს იმავე ჰაემეტობას, რომელსაც ადგილი აქვს პროფ. ა. შანიძის მიერ გამოცემულ ჰაემეტისტში (იხ. ტფ. უნივერსიტ. მოამბე, ტ. III), ხოლო პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ხანმეტობის თანამედროვე წარმომადგენლად სვანურის დამახასიათებელ ხანსა სოვლის, ნაწილობრივ ხევსურულსაც.

ჰაემეტობისა და ხანმეტობის ურთიერთობის შესახებ მომხსენებელი იზიარებს პროფ. ა. შანიძის მიერ გამოთქმულ აზრს, სახელდობრ რომ ჰაემეტობა და ხანმეტობა სხვადასხვა დიალექტური წრის დამახასიათებელი მოვლენაა.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ხმოვნის წინ პრეფიქსს მოკლებული ფორმა „უნდოდა“, ჰაემეტი „ჰუნდოდა“ და ხანმეტი „ხუნდოდა“, აგრეთვე შსგავსი მაგალითები და დასკვნის, რომ ამაში მოცემულია „აღმით-დაღმითობის კანონი“, რომლის სქემაა; ა—ჰა—ხა; ე—ჰე—ხე; ი—ჰი—ხი; საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითები: ავი—ჰავი—ხავი; ალალი—ჰალალი—ხალალი; აერი—ჰაერი—ხაერი; აზირი—ჰაზირი—ხაზირი; — — ჰავა—ხავა.

გაქვავებულ ხანმეტს ხედავს მომხსენებელი სიტყვაში „ხუთი“: წართულ ხმოვანთა სისტემაშიო, — ამბობს მომხსენებელი, — უ ხუ—ს მეხუთე ადგილი უკავია: ა—ე—ი—ო—უ.

სიტყვაში „ხერთვისი“—წინააღმდეგ პროფ. ა. შანიძის აზრისა: იგი ხ-ერთვის მას,— მომხსენებელი კი არ ხედავს ხანმეტს, არამედ მიაჩნია იგი „ხევრთვის“—ისაგან წარმომდგარად: (ხევი-რთვა).

დასასრულ გაკვრით ეხება ინგილოურ ფორმებს: „მიჰდი“, მი-ჰდიყა“ „მიჰდიხარყა“ და განმარტავს ყარს, როგორც „ხოლმე“—ს მნიშვნელობის მატარებელ ელემენტს.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლისას: 1. ვარ. თოვლურიამ არადამაქმაყოფილებლად მიიჩნია აღმით-დაღმითობის კანონის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები, ვინაიდან თითქმის ყვე-

ლა უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებს წარმოადგენს; თვით კანონი და მისი კვალიფიკაცია მიუღებლად ჩასთვალა; არ გაიზიარა მომხსენებლის აზრი „ხუთ“- სიტყვაში ხანმეტი ხანის არსებობის შესახებ და აგრეთვე მომხსენებლის ეტიმოლოგია „ხერთვისი“-სა. 2. ბენ: ჩიქობავამ: „ხუთში“ ხანმეტობის დასაბუთება შეუფერებლად მიიჩნია: ენის პარგანდელ ფორმაციაში ყოვლად შეუძლებელია დაუშვათ, რომ ბერათა სისტემა ჰქონოდესთ გათვალისწინებული და სიტყვათა ჩამოყალიბება ამ სისტემის მიხედვით ეწარმოებინათ. ამას გარდა, თუ უნი მეხუთე ხმოვანია და იმიტომ არის გამოყენებული „ხუთ“- სიტყვაში, რატომ არ არის სხვა ხმოვნები სხვა რიცხვების აღმნიშვნელ სახელებში გამოყენებული, მაგალ. ი, ე, ა?! - „ხერთვისის“ ეტიმოლოგიის დაკავშირება „ხევ“-თან შეუძლებელია, რადგან „კევ“-სიტყვა კარით იწერება, „ხერთვისის“-ში კი ხანი გვიჩვსო. -ყარ ნაწილაკის „ხოლმე“-დ გავება მისალებია მხოლოდ იმდენად, რამდენად მასში ამ ნაწილაკის ხმარების ილრევის დამახასიათებელ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე, მაშინ როდესაც ამ ნაწილაკის ძირითადი პირველადი მნიშვნელობა, როგორც ეს ვუჩ. ბერიძის ჯერ კიდევ 1913 წელს გამოსულ ნაშრომში („სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“) არის აღნიშნული, არსებითად სხვაა.

პროფ. გ. ახვლედიანი აღნიშნავს მომხსენებლის დამსახურებას ქართულ ენაზე მუშაობაში და შემდეგ აკეთებს ზოგად შენიშვნებს მოხსენების ზოგიერთი აღგილების შესახებ. საკითხი ასე უნდა დაისვას: ინგილოური ჰაე არის წმინდა ფონეტიკური წარმოშობის თუ მორფოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია? რაც შეეხება აღმით-დაღმითობის კანონს, მისი გაზიარება მას არ მიაჩნია შესაძლებლად.

მომხსენებელი თითოეულ მათგანს უპასუხებს და თავის აზრს იცავს, განსაკუთრებით „ხერთვისის“-ს ეტიმოლოგიის საკითხში და იმის შესახებ, რომ „ჰაე“ ინგილოურში ისეთივე ბუნებისაა, როგორც ჰაემეტ ტექსტებში.

სხდომა საათის 2-ზე დაიხურა.

1924 წლის 18 თებერვლის წლიური კრების ოქმი № 18.

წლიური საზოგადო კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე ცენტრ-არქივში (ლენინის ქ. № 48); თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლე-დიანი.

დაესწრნენ წევრნი: ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, დ. მგელაძე, ვ. ბერიძე, პროფ. ა. შანიძე, ს. ჯიქია, პროფ. ი. მოსე-

შეილი, ს. ჯანაშია, გ. ჯაფობია, ვ. თოფურია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

კრების წესრიგშია: 1. პროფ. ა. შანიძის მოხსენება: „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“; 2. სვ. ჯანაშიას მოხსენება: „ხანშეტობის ერთი ახალი ნაშთი“; 3. საზოგადოების საბჭოს საანგარიშო მოხსენება; 4. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 5. წესდების ზოგიერთი მუხლის გადასინჯვა; 6. საზოგადოების ახალი წევრების არჩევა 7. საბიბლიოგრაფიო სექციის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

წინა 10 თებერვლის სხდომის ოქმის წაკითხვისა და უცვლელად დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა პროფ. ა. შანიძის მოხსენება: „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“¹⁾.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დავ. კარიჭაშვილმა, ვ. თოფურიამ და ბენ. ჩიქობავამ.

პირველმა არ გაიზიარა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგია და მას დაუპირდაპირა თავისი: „წელითი — წლად“-იდან კი არ ირის მიღებული „წელიწადი“, არამედ „წელი—წლად“-იდან.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ მოკლე მოხსენება წაიკითხა სვ. ჯანაშიამ „ხანშეტობის ერთი ახალი ნაშთი“²⁾.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლისას პროფ. ა. შანიძე და ვარ. თოფურია იზიარებენ მომხსენებლის აზრს.

შემდეგ საზოგადოების მდივანი ბენ. ჩიქობავა კითხულობს საბჭოს საანგარიშო მოხსენებას გასული წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობის შესახებ, წინასწარ კი განმარტავს, რომ საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია პირველი წელი იანგარიშოს საზოგადოების დაარსებიდან,—ე. ი. 1923 წლის 18 თებერვლიდან,—1924 წლის იანვრამდი, შემდეგში კი საანგარიშო წელი ითვლებოდეს იქნება პირველი იანვრიდან პირველ იანვრამდი:

„ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭოს საანგარიშო მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ 1923 წლის 18 თებერვლიდან,—საზოგადოების დაარსებიდან,—1924 წლის 1 იანვრამდი.

1923 წლის 18 თებერვალს დილის 10 საათზე ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (ლუნიბის ქ. № 46) პროფ. გ. ახვლედიანის თავმჯდომარეობით შედგა მისივე ინიციატივით მოწვევული კრება,

¹⁾ დაბეჭდილია; იხ. აქვე „წელიწადეულში“ გვ. 1--11.

²⁾ დაბეჭდილია; იხ. აქვე „წელიწადეულში“, გვ. 117--119.

სადაც უნდა გარჩეულიყო საკითხი საენათმეცნიერო საზოგადოების დაარსების შესახებ. კრებას დაესწონენ: პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. პ. ქველიძე, ს. გორგაძე, ვ. ბერიძე, დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგი, დიმ. მგელაძე, ვარ. თოფურია, მაკ. ხუბუა, სტ. ჩხერიძელი და ბენ. ჩიქობავა. კრებაზე ერთხმად გადაწყდა დაარსდეს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“. ზოგადად განხილულ იქნა პროფ. გ. ახვლედიანის მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტი, რომლის საბოლოო რედაქციის გამომუშავება და მორიგი საზოგადო კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენა საგანგებოდ ამისთვის არჩეულ კომისიას მიენდო. კრებაზევე არჩეულ იქნა საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია. პირველი — ხუთი წევრისაგან: 1. პროფ. გ. ახვლედიანი (თავმჯდომარე), 2. პროფ. ა. შანიძე (თავმჯდომარის ამხანავი), 3. ბენ. ჩიქობავა (მდივანი) და 4. დ. მგელაძე (მოლარე) (საბჭოს მეხუთე წევრის არჩევა შემთხვევით მაშინ არ მომხდარა; ასეთად შემდეგ, 1 აპრილის სხდომაზე არჩეულ იქნა ვ. თოფურია); სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: 1. ვუკ. ბერიძე, 2. სერ. გორგაძე და 3. დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგი.

საბჭოს მორიგ საზრუნავ საგანს შეაღვენდა ჩამოყალიბებულიყო საზოგადოების ფურიდული სახე, რისთვისაც წესდების პროექტის საზოგადო კრების მიერ დადასტურების შემდეგ იგი წარედგინა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს, ხოლო უკანასკნელის დასტურით დამტკიცებულ იქნა განათლების საზალხო კომისიის მიერ და საზოგადოება გატარდა რეგისტრაციაში. ამავე დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ შეძენილ იქნა საზოგადოების ბეჭედი და შტემპელი.

ამავე პერიოდის ტექნიკური ხასიათის მუშაობას განეკუთვნება შუამდგომლობის აღტერა საქართველოს მუზეუმის დირექტორის წინაშე, რათა მუზეუმის ახალს შენობაში საზოგადოებას დასტმობოდა საჯარო სხდომებისათვის დარბაზი. შუამდგომლობაზე პრინციპულად დადებითი პასუხი იქნა მიღებული: საზოგადოებას დაეთმობა კვირაში ერთხელ სააუდიტორიო დარბაზი, როცა ასეთი იქნება მოწყობილიო. სხვა უფრო მოხერხებული ბინის უქონლობის გამო საზოგადოების სხდომები იმართებოდა ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში და ცენტრარქიზმი.

18 თებერვლიდან 24 ივნისამდი მოეწყო 10 საჯარო სხდომა (დამფუძნებელი კრებითურთ 11); მათზე წაკითხულ იქნა 14 მოხსენება (სათაურები იხ. ბოლოს).

ცოცხალ ენა-კილოებშე სამუშაოდ ზაფხულის თავისუფალი დრო რომ გამოეყენებინა, სამკომ გადასწყვიტა მოეწყო სხვადასხვა კუთხებში მივლინებანი.

სათანადო სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა და მუშაობის გეგმის შედგენის შემდეგ მან აღძრა შეამდგომობა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი მართველობის გამგის ვუკ. ბერიძის წინაშე; ას უკანასკნელის განსაკუთრებულმა ყურადღებამ და განათლების სახლში კომისარიატისაგან მიღებულმა უხვმა მატერიალურმა დახმარებამ საზოგადოების საბჭოს საშვალება მისცა მოეწყო შემდეგი მივლინებანი:

1. ზუგდიდის მაზრასა და სამურზაყანოში მეგრული ენის მასალების შესაგროვებლად გაიგზავნა სტუდ. შაკ. ხუბუა;
2. სეანურის შესასწავლად ლაშხეთში — სტუდ. სტ. ჩხერიძელი;
3. კახეთში მოსახლე ოსთა ენების შესასწავლად — სტუდ. სოლ. იორდანაშვილი;
4. ქართლურზე სამუშაოდ — ვარ. თოფურია;
5. გარე-კახურზე — ბენ. ჩიქობავა;
6. პროფ. ა. შანიძეს საშვალება მიეცა განეგრძო სვანურის, კერძო, ზემო-სვანურის, კვლევა,
7. ხოლო პროფ. გ. ახვლედიანს ოსურის საკვლევად — ჯავის ხეობისა და ცხინვალის რაიონში ემოგზავრა;
8. ამას გარდა კახეთში გადმოსახლებული უდების ენაზე სამუშაოდ გაიგზავნა დიმ. მგელაძე.

ზაფხულშივე პროფ. გ. ახვლედიანის ინიციატივითა და საზოგადოების წევრის ვუკ. ბერიძის დახმარებით შედგენილ იქნა ვრცელი საანკეტო ფურცელი სხვადასხვა კუთხეებში დაცული სალექსიკოლოგიო მასალების აღგილობრივი ინტელიგენტური ძალების საშვალებით შესაკრებად. აღნიშნული ფურცლები, თუმც დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაგზავნილ იქნა თითქმის ყველა მაზრებში. შემოდგომაში საზოგადოებამ მუშაობა განახლა 23 ოქტომბერს 1923 წელს.

1 იანვრამდი გაიმართა სულ 3 სხდომა: მათზე წაკითხულ იქნა 4 მოხსენება.

იმრიგად, 1923 წლის 18 თებერვლიდან 1924 წლის 1 იანვრამდი მოეწყო 13 (დამფუძნებელი კრებითურთ კი 14) საჯარო სხდომა, წაკითხულ იქნა შემდეგი 18 მოხსენება:

1. „აღმოსავლეთ თურქესტანში აღმოჩენილ ინდო-ევროპულ ენა-თანამთებისათვის“ — პროფ. გ. ახვლედი იანის მიერ 4. III. 1923.
2. „ე. წ. გრძელი ხმოვნები მთიულურში“ — ბენ. ჩიქობავას მიერ 11. III. 1923.
3. „გომარულის მორფოლოგია“ — ვარ. თოფურიას მიერ 18. III. 1923.

4. „სომხური დიალექტი ტფილისში და მისი ურთიერთობა ქართულ ენასთან“—დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ 1.IV. 1923.
5. „ერთი საყურადღებო ლიტერატურული ცნობა გიორგი მთაწმიდელისა“—პროფ. ა. შანიძის მიერ 1. IV. 1923,
6. „მთიულური: ფონეტიკა“—ბენ. ჩიქობავას მიერ 22. IV. 1923.
7. „დავით ილმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის ბოძებული სიგლის დასაწყისი სიტყვები“—პროფ. ა. შანიძის მიერ 29. IV. 1923.
8. „Dativus praedicativus ოსურში“—პროფ. გ. ახვლედიანის მიერ 29. IV. 1923.
9. „ლმერთი-სიტყვის შესატყვისობისათვის აფხაზურში—ს ვ. ჯანაშიას მიერ 6. V. 1923.
10. „გომარულის ფონეტიკა“—ვარ. თოფურიას მიერ 6. V. 1923.
11. „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“—პროფ. დ. უზნაძის მიერ 13. V. 1923.
12. „პროფ. ალ. ცაგარელი, როგორც ენათმეცნიერი“—პროფ. ა. შანიძის მიერ 13. V. 1923.
13. „ვინის რეფლექსები ფერეფლნულში“—ბენ. ჩიქობავას მიერ 20. V. 1923.
14. „ზოგიერთი მოსაზრებანი სახარების ქართულად თარგმნის შესახებ ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით“—სარ. კაკაბაძის მიერ 24. VI. 1923.
15. „პერმეტობა ძველს ქართულში და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“—პროფ. ა. შანიძის მიერ 23. X. 1923.
16. „წინასწარი მოხსენება ოსეთში საენათმეცნიერო მოგზაურობის შესახებ“—პროფ. გ. ახვლედიანის მიერ 23. X. 1923.
17. „უდური ენის გამოკვლევის ცდა“—დიმ. მგელაძის მიერ 4. XI. 1923.
18. „ორმაგი უარყოფა ქართულში“—ვარ. თოფურიას მიერ 4. XII. 1923.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების მუშაობა შემოდგომაში დიდად შეაფერხა ორმა გარემოებამ: 1. საჭირო გახდა საზოგადოების ახალი სასწრაფო რეგისტრაცია: სათანადო პროცედურამ რამოდენიმე კვირას გასტანა, და 2. საჭართველოს მუზეუმის სააუდი-

ტორიო დარბაზის მოწყობა მეტად ვაჭიანურდა, რამაც აგრეთვე შეაფერხა სხდომების სისტემატურად მოწყობა.

საზოგადოების საბჭოს 1924 წლის 1 იანვრამდი სულ 3 სხდო-
მა ჰქონდა.

საზოგადოებას ამ უამაღ პყავს 28 წევრი, მათში ერთი საპატიო,
27 ნამდვილი; უკანასკნელთა შორის 17 დაარსებისას ითვლებოდა
წევრად, დანარჩენი 11 გასული წლის განმავლობაში იქნა არჩეული.

წევრთა სია: 1. აბულაძე იუსტ., 2. ახვლედიანი გ., პროფ., 3.
ბაქრაძე გ., 4. ბერიძე ვუკ., 5. გორგაძე სერ., 6. ვაჩინაძე სკ., 7. თო-
ფურია ვარ., 8. იორდანაშვილი სოლ., 9. კაკაბაძე სარგ., 10. კეპ-
ლიძე კ., პროფ., 11. მეგელაძე დიმ., 12. მელიქშეთ-ბეგი ლ., დოც.,
13. მირიანაშვილი პეტ., 14. მოსეშვილი იას., პროფ., 15. უზნაძე
დიმ., პროფ., 16. ყაუხეჩიშვილი სკ., 17. ზანიძე აკ., პროფ., 18. ცაგა-
რელი ალ., დამსახურებული პროფ., 19. ჩიტაია გ., 20. ჩიქობავა ბენ.,
21. ჩეხნეკელი სტეფ., 22. ჭუმბურიძე გ., 23. ხუბუა მაკ., 24. ჯავახი-
შვილი ივ., პროფ., 25. ჯაკობია გ., 26. ჯანაშვილი მოსე, 27. ჯანა-
შია., სკ. და 28. ჯიქია სერ.

1 იანვრისთვის საზოგადოების ქონებას შეადგენდა ერთი პა-
წია ხელნაწერი, ქართლიდან ვ. თოფურიას მიერ ჩამოტანილი და
კომისი, ქრისტეფორე ეპისკოპოზის მიერ შეწირული.

ზოგადი ანგარიშის შემდეგ საზოგადოების მოლარის დიმიტრი
მგელაძის მიერ წარმოდგენილ იქნა ფინანსური ანგარიში შემოსა-
ვალ-გასავლის შესახებ 1924 წლის 1 იანვრამდი.

სარევიზო კომისიის აზრის გაცნობის შემდეგ კრებამ დაადგი-
ნა დაამტკიცოს საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

მორიგ საკითხშე გადასვლამდი თავმჯდომარემ პროფ. გ. ახვლე-
დიანმა გააცნო ქრებას მომავალი მუშაობის გეგმა; მან უმთავრესად
შემდეგს მიიქცია ყურადღება: 1. საზაფხულო მიელინებათა მოწყობა
ცოცხალ ენა-კილოთა შესასწავლად უნდა იქნეს წარმოებული ფარ-
თო მასშტაბით,— ამ მხრივ უნდა გაგრძელდეს 1923 წლის ზაფხულს
დაწყებული მუშაობა; 2. მორიგ ამოცანას შეადგენს სპეციალ საენათ-
მეცნიერო წიგნთსაცავის შექმნა; მომხსენებელი მიუთითებს კრებას
სათანადო საშვალებაზე: ტფილ. ყოფ. I-სა და II-რე ვიმნაზიებში დაცუ-
ლია თვალსაჩინო ოდენობა წმინდა საენათმეცნიერო ლიტერატურისა;
რაკი ამ სასწავლებელთათვის ეს სრულებით არ არის საჭირო, უნდა
აღიძროს შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე ამ წიგ-
ნების საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ; ეს ჩაუყრიდა მკვიდრ

საძირკველს საზოგადოებისათვის ეგოდენ აუცილებელ საქმეს; ცენტრ-არქივში დაცული ზოგი დუბლიკატიც შეიძლებოდა გამოგვეთხოვა და სხვა სასწავლებლებშიც მოვყენოთხაო, — ამბობს მომხსენებელი; 3. საზოგადოებამ უნდა გაიჩინოს პროექტიაში წევრი-კორესპონდენტები, რომელნიც ხელს შეუწყობენ საზოგადოების ფართო მუშაობას; ამ საკითხის პრაქტიკულად მოსაგვარებლად გამოგვალებოდა დასაყრდენად, თუ როგორ შეასრულებდენ პროექტიაში უკვე დაკისრებულ მუშაობას: დაგზავნილი ანკეტების შევსებას; ვინც განსაკუთრებით მიიჭურდა ყურადღებას ამ საქმის ჩატარებაში, მისი არჩევაც შესაძლებელი იქნებოდა; მართალია, წესდებით წევრთა ასეთი კატეგორია არ არის გათვალისწინებული, მაგრამ წესდების გადაშინჯვისას, ისეც შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებულიო. მუშაობის ამ ზოგადი სქემის წარმოდგენის შემდეგ თავმჯდომარე სანიმუშო ხარჯთაღრიცხვის პროექტს ადგენს.

შემდეგი მორიგი საკითხის — წესდების ზოგიერთი მუხლების გადაშინჯვის შესახებ — კრება იღებს საბჭოს წინადადებას, მიენდოს მომავილ საბჭოს საჭირო ცვლილებათა პროექტის დამუშავება, და წარედგინოს ეს აზრი ერთ-ერთ მორიგ საზოგადო კრებას განსახილველად.

ამის შემდეგ საბჭოს წინადადებით კრებამ ერთხმად აირჩია საზოგადოების წევრებად შემდეგი პირები: 1. პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი, 2. თამარ ლომაური, 3. მიხეილ ლობჯანიძე, 4. ვლადიმერ ფუთურიძე, 5. იოსებ ჭეიშვილი და 6. დავით კარიჭაშვილი; ხოლო პრეზიდიუმის წინადადებით წევრ-კორესპონდენტიად არჩეულ იქნაკიცხის (შორაპნის მაზ.) შვიდწლების გამგე სავლე აბულაძე, რომელმაც საანკეტო ფურცლების დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინა მისდამი რწმუნებულ შეოღულს.

დასასრულ პრეზიდიუმის განმარტების შემდეგ კრებამ დაადგინა არჩეულ იქნეს საბიბლიოგრაფიო სექცია, რომელიც იმუშავებს საბჭოსთან კონტაქტში და მისი დირექტორივებით; სექციაში ერთხმად აირჩიეს 1. დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგი, 2. სვ. ყავხჩიშვილი და 3. ვარ. თოფურია. რაც შეეხება საბჭოს არჩევნებს, კრებამ თანახმად გიორგი ჯაკობიას წინადადებისა დაადგინა დარჩეს ძველი შემადგენლობა მთლიანად (პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ა. შანიძე, დიმ. მგელაძე, ვარ. თოფურია და ბენ. ჩიქობავა); სარევიზო კომისიაში კი არჩეულ იქნენ: 1. დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგი, და 2. სერ. გორგაძე,

ორივე ხელახლა; მესამე წევრის ვუკ. ბერიძის ნაცელად, რომელმაც ითხოვა გაენთავისუფლებიათ სარევონ. კომის. წევრობისაგან, საზოგადოებამ ერთხმად ითხით მიხეილ ლომაჯანიძე.

საათის 11-შე კრება დაიხურა.

1923 წლის 11 მარტის საჯარო სხდომის ოქმი № 19.

სხდომა გაიხსნა საღ. 8 ს. 10 წ. ცენტრარქივში (ლენინის ქ. № 48); თაერჯლომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: ს. კაკაბაძე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ვლ. ფუთურიძე, ვარ. თოფურია, დ. კარიჭაშვილი, პროფ. ა. შანიძე, მიხ. ლომაჯანიძე, ი. ჭეიშვილი, პროფ. გ. ჩუბინაშვილი, თ. ლომაური, სერ. ჯიქია, ს. ჯანაშია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

პირველად მცირედი შესწორებით დამტკიცებულ იქნა წინა 18 თებერვლის სხდომის ოქმი.

შემდეგ მოვლე მოხსენება წაიკითხა პროფ. ა. შანიძემ „მაჩ-ხიტიძის ჩინი“¹.

სარგ. კაკაბაძე მოხსენების გამო ამბობს: დებულება არსებითად სწორია: ეს ჩინია და არა ჭარი; მაგრამ საყურადღებოა, რომ იგი ვანსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სიგლებში გვხვდება; კუთხური თვალსაზრისით პალეოგრაფიული თავისებურებები რომ შესწავლილი იყოს, ბევრი რამ საინტერესო გამოირკვეოდა... არ არის ნათელი, რათ უწოდებს ამას მომხსენებელი მაჩხიტიძის ჩინს.

ვ. თოფურია აღნიშნავს: რაკი ერთსა და იმავე ძეგლში გვხვდება ორივე: ჭ და ჩ-ც, დიალექტიზმთან აქ არ შეიძლება გვქონდეს საქმე.

გ. ჩიქობავა საკითხს სვამს, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა ამ ჭარის ხმარება ჩინის აღსანიშნავად იმით იყოს გამოწვეული, რომ უცხოელი იყო დამწერი და ჭარს ჩინთან ურევდა!

მომხსენებელი თავის პასუხში ამბობს: დიალექტიზმთან არმ საქმე არა გვაქვს, ეს იქიდან ჩანს, რომ ასე დაწერა არ არის მთელ ძეგლში გატარებული... ასეთი ჩინი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებშიაც და არა მხოლოდ დასავლეთისაში... სახელწოდება: „მაჩხიტიძის“ პირობითია, შეიძლება იგი შეეცვალოთ, მაგრამ სახელი მაინც აუცილებელია.

¹⁾ დაბეჭილია; იხ. „ჩვენი მეცნიერება“ № 11—12, 1924 წლ.
გვ. 11 და შემდ.

შემდეგ სვ. ყაუხჩიშვილი კითხულობს მოხსენებას: „კორი-დეთის სახარების მინაწერთა დათარილებისათვის“¹⁾.

მოხსენების გამო სვ. ჯანაშია ამბობს: ამ დათარილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ მინაწერში გვხვდება „დაწერილი“, როგორც ტერმინი, სიგლის აღსანიშნავად: ამით ირკვევა ამ ტერმინის შემოსვლის ისტორია.

პროფ. ა. შანიძე შენიშნავს, რომ მომხსენებლის ძიების მეთოდი სწორია და მიზანშეწონილი; ბერძნული ქართულს მისდევს დაწერის დროის მხრივ; დასკვნა აგრეთვე მისაღებია; მე-Х-ე საუკუნის პირველ ნახევარს ვერ გადმოვაცილებთ ქართული მინაწერის დათარილებას; ამდენადვე მიუღებელია აკად. ნ. მარის აზრი.

დასასრულ, პროფ. ა. შანიძის თავმჯდომარეობით პროფ. გ. ახვლედიანმა წაიკითხა მოხსენება: „სამი „t“ ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან“²⁾.

პროფ. ა. შანიძე ეკითხება მომხსენებელს: თუ სამი „t“ გვაქვს, ხომ არ შეიძლება იმავე რიგის სხვა ბგერებშიც k, p-შიც სახეთა ასეთი სხვადასხვაობა იყოსთა?

მომხსენებელი უპასუხებს, რომ აუცილებელი არ არის ენისთვის გაატაროს სისტემა თავიდან ბოლომდი; p-ს მიმართ ასეთი საკითხის დასმა არც შეიძლება, k-ს მიმართ კი ასეთი საკითხი შესაძლებელია, მაგრამ საჭმის ვითარება არ არის გამორკვეული.

საათის 11-ზე სხდომა დაიხურა.

1924 წლის 1 აპრილის საჯარო სხდომის ოქმი № 20.

სხდომა გაიხსნა საღ. 8 ს. 15 წ. საქართველოს მუზეუმის სააუდიტორო დარბაზში; თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლე დ ი ა ნ ი.

დაესწრნენ წევრნი: ს. კაკაბაძე, თამ. ლომაური, პროფ. ი. მოსე-შვილი, პროფ. გ. ჩუბინაშვილი, დ. მგელაძე, მიხ. ლობჯანიძე, სერ. ჯიქია, ვარ. თოფურია, მაკ. ხუბუა, დოც. ლ. მელიქშეთ-ბეგი, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ ვარლამ თოფურიამ წაიკითხა მოკლე მოხსენება „ერთ-ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულ ში“.

¹⁾ დაბეჭდილია; იხ. „ჩვენი მეცნიერება“ № 11—12, 1924 წ.

²⁾ დაბეჭდილია; იხ. აქვე „წელიწდეულ ში“ გვ. 22—31.

„ვინც უნდა, რაც უნდა“ თუ „ვინც არ უნდა, რაც არ უნდა“? — რომელი კონსტრუქციაა ქართულისათვის ბუნებრივი? ამ საკითხის განხილვას მომხსენებელი მიუდგა ისტორიული თვალსაზრისით, გაითვალისწინა საქმის ვითარება ძველი ქართულის გამოცემული ძეგლებისა და მნიშვნელოვან ხელნაწერთა მიხედვით, საშვალი ქართულისა და მე XIX საუკუნის განახლებულ შერლობაში, ავრეთვე ნათარგმნისთვის განახლებულ შერლობაში, დღემდის შესწავლილ კილოებსა და მეგრულ ენაში და ის დასკვნა გააკეთა, რომ ქართულისათვის ბუნებრივია „ვინც უნდა“, „რაც უნდა“ და არა „ვინც არ უნდა“ „რაც არ უნდა“... ეს უკანასკნელი კონსტრუქცია მომხსენებლის აზრით სალიტერატურო ქართულში რუსულის ზეგავლენით ჩნდება, თუმცა კილოებში მისი განვითარება შეუძლებლად არ მიაჩნია.

პროფ. გ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ, თუმცა აქ საკითხი საფუძვლიანად არის დამუშავებული, მაგრამ მაინც საჭიროა სიფრთხილე, ვინაიდან საქმე ეხება გავლენის შეალობით სინტაქსური კონსტრუქციის გაჩენას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი გავლენის პირობებში.

ბენ. ჩიქობავას აზრით მოხსენების ძირითადი დებულება, რომ „ვინც უნდა“ არის ბუნებრივი და არა „ვინც არ უნდა“, ისტორიულ ფაქტებს ემყარება და დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს. მისაღებად უნდა მივიჩნიოთ ის დებულებაც, რომ ახალი კონსტრუქცია გავლენის გზით არის შემოსული დამშერლობაში: გარემოებათა კონტექსტი ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს; თავის თავად საინტერესოა, რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ კილოებში შეიძლება დამოუკიდებლივ ეს ახალი კონსტრუქცია განვითარდეს.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ ბენ. ჩიქობავა კითხულობს მოხსენებას: „ვარე - კანეთი დიალექტოლოგიური დ“. მომხსენებელი დასაწყისში მოკლედ ეხება გარე-კახეთში წარმოებული მუშაობის ფაქტურ მხარეს, შემდეგ სადიალექტოლოგიო მუშაობის ზოგიერთ პრინციპულ საკითხებზე ჩერდება გაკვრით და ბოლოს იძლევა ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენათა ზოგად მიმოხილვას.

რადგან ვეიანი იყო, კამათი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო. სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარებ აუწყა სხდომას, რომ 1. საზოგადოების წევრმა მიხეილ ლობჯანიძემ შემოსწირა საზოგადოებას 10 გირვანქა სტერლინგი, ხოლო 2. საზოგად. წევრმა დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გადმოსცა საზოგადოებას მოსკოვის ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწდეული. I.

საარქეოლოგიო ინსტიტუტის ყოფ. კავკასიის განყოფილების ქონება-
დან საღიალექტოლოგიო მასალათა საყურადღებო სერია, რისთვი-
საც მათ მაღლობა უძლვნა საზოგადოების სახელით. სხდომა ტაშის
ცემით შეხვდა იღნიშნულ განცხადებას.

10 ს. 20 წ. სხდომა დაიხურა.

1924 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი № 21.

სხდომა გაიხსნა საღ. 8 ს. 20 წ. საქართველოს მუზეუმის სააუ-
ღიტორიო დარბაზში; თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: პროფ. ი. მოსეშვილი, დოც. ლ. მელიქეთ-
ვეგი, პროფ. ა. შანიძე, ვარ. თოვლურია, ი. აბულაძე, ს. ჯიქია, ვუკ.
შერიძე, ს. იორდანაშვილი, დ. მგელაძე, ბენ. ჩიქობავა და გარეშე
საზოგადოება.

წინა 1 აპრილის სხდომის ოქმის მოსმენისა და დამტკიცების
შემდეგ დოც. ლ. მელიქეთ-ბეგი კითხულობს მოხსენებას: „ვახუშ-
ტის გეოგრაფიის ზოგიერთი არმენიზმებისათვის“.

შესავალში მომხსენებელი ამბობს: გეოგრაფიულ ნომენკლატურა-
ში საყურადღებოა სხვადასხვა ადგილის ერთნაირი სახელწოდების ხმა-
რები, თოვლობული ეს გვაქვს, მაგალითად, შემდეგს შემთხვევაში: გარე-კა-
ხეთში ხაშმის ხახლობლად გვაქვს კაწარეთი, იმავე დროს ყაზახის მახ-
ლობლად არის კიდევ კაწარეთი, და საინტერესოა ის, რომ მახლობლად
არის ციხე ხამში (<ხაშმი:-მეტათეზითა მიღებული>)... შემდეგ მოხსე-
ნებელი ეხება ვახუშტის გეოგრაფიაში ხმარებულ სიტყვას: ქარაფოვა-
ნი (კლდოვანი: ჭარაჭუ-კლდე), გეტის-კევი (ჭეთ-მდინარე) და ამბობს,
რომ ამ სიტყვის სომხურობა ცხადია. დასასრულ ჩერდება ვახუშტის
კნობაზე ახპატისა და სანინის ეკლესიითათვის: „მეფე ქართლისა
დასვამს ეპიზოპოზსა მიწერით ოქივარტერისათა“ და ამბობს, რომ
სიტყვა: „ოქივარტერი“ სომხურია და „ოქივარ“ იგივეა, რაც „რი-
ტესტი“ („სულიერი“); რაც შეეხება ფრაზის: „ხოლო კვალიად დასა-
ვლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთა წმინდისა“,
აქ მოხსენებული „იშიტუტრუქი“ სომხური სიტყვაა; ამ სიტყვის გა-
გება შესაძლო ხდება დიალექტების მიხედვით: მუშის, ყაზახის დია-
ლექტში არსებობს სიტყვა „ჩატარშოւკ“, რომელიც იღნიშნავს ერთ-
ვარ პრასას, მცენარეს, რომელსაც სახედარი ეტანება.

ეს გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, რომ მამა-დავითის მიღა-
მოები მცენარეობას მოკლებული არ უნდა ყოფილიყო; მართალია,

საზოგადოების სხდომათა ოქმები.

ტუები აქ არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ირკვევა მოგზაურების ჩვენებათაგან, მაგრამ ჯაგნარით და საძოვრით კი უნდა ყოფილიყო პოტენილო... .

შობსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. ა. შანიძემ და ვარ. თოფურიამ; მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი წინა სხდომაზე წაკითხული მოხსენების გამო „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფ. ა. შანიძემ და ვარ. თოფურიამ. უკანასკნელმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ ზოგი მოვლენები გარე-კახურიდან ძალიან გავს ქართლურში დადასტურებულ მოვლენებს, თუმცა პევრი ომ არის აქ თავისებური, განსხვავებულიო.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ სხდომა 11 ს. დაიხურა.

1924 წლის 22 აპრილის საჯარო სხდომის ოქმი № 22.

სხდომა გაიხსნა საღამ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში; თავმჯდომარეობს პროფ. ა. შანიძე.

დაესწრნენ წევრები: ი. აბულაძე, ვარ. თოფურია, დ. კარიჭაშვილი, ს. იორდანაშვილი, მიხ. ლობჯანიძე, მაკ. ხუბუა, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 15 აპრილის ოქმის დამტკიცების შემდეგ ბენ. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება: „მთიულური: მორფოლოგია, სინტაქსი.“

მომხსენებელი ვრცლად შეეხო მთიულურის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ თავისებურებებს და ბოლოს საკითხი დასვა: რომელ „თქმა“-სთან უნდა ქონდეს კავშირი მთიულურსო? აღნიშნა, რომ მსგავსება აქვს მთიულურს მთის კილოებთან: მოკეურთან, ფშაურთან, ნაწილობრივ კევსურულთანაც, მაგრამ ამ მსგავსებას ქმნის ის არქაიზმები, რომლებიც შეუნახავსთ ყველა აზათ; იგივე არქაიზმები მაგალ. ნამყო სრული მრავალგზითი ანუ პერმანსივი, კარ-ბგერა და სხვ.) ბარსაც უნდა ქონოდა, ასე რომ, ამაში როდია მოცემული მთიულურის სხვა კილო-თქმებთან მიმართების გამომრკვევი როვლენა; მოეპოვება მთიულურს ზოგადი მოვლენები ქართლურთანაც, მაგრამ ეს გავლენას უნდა მიეწეროს და ორგანული ურთიერთობის მანებილებლად ვერ ჩითვლება; ორგანულად მთიულური გარე-კახურთან უნდა იყოს დაკავშირებული, რის სასარგებლოდ ლაპარაკობა რვი>ოი-ს გარდა, რაც მთის ზოგ კილოსაც ახასიათებს, — კი (ყვე)

ნაწილაკის ხმარება; ეს მნიშვნელოვანი მოტფოლოვიური მოვლენა არის შენახული ბარის კილოთაგან კახურში, საერთოდ, და კერძოდ, გარე-კახურში; მთის კილოთაგან კი მხოლოდ მთიულურშიო, ამბობს მომხსენებელი.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვარ. თოფურიამ, პროფ. ა. შანიძემ და დავ. კარიჭაშვილმა. უკანასკნელმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მთიულურს ქართლურთან აქვს კავშირი; კელი ნაწილაკი კახურში რომ მოიპოვება, ეს აიხსნება იმით, რომ მთიდან გაღმოსახლებულებმა ჩამოიტანეს აქ იგიო... პროფ. ა. შანიძემ კი აღნიშნა, რომ მთიულურს მთის კილოებთან აქვს ორგანული კავშირი და არა გარე-კახურთანო.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ, რომელშიაც მან პასუხი გასცა მოკამათებს და თავისი დებულება დაიცვა, სხდომა 10 ს. 25 წამზე დაიხურა.

1924 წლის 4 ნოემბრის სხდომის ოქმი № 23.

სხდომა გაიხსნა სალამ. 8 ს. 25 წამზე საქართველოს მუნიციპალიტეტის დაუდიტორიონ დარბაზში; თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

დაესწრნენ წევრნი: მიხ. ლომჯანიძე. პროფ. ი. მოსეშვილი, გ. ჩიტაია, პროფ. ა. შანიძე, თამ. ლომაური, ვარ. თოფურია, გიორგი ჯაკობია, სვ. ყაუხჩიშვილი, სტ. ჩხერიშვილი, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ პროფ. გ. ახვლედიანმა აღნიშნა, რომ საზოგადოების მუშაობა შემოდგომას დაგვიანებით დაიწყო, რასაც თავისი მიზეზები ქონდაო, რის შემდეგ ხვიშ. ყაუხჩიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ი ა ფ ე ტ უ რ ი თ ე ო რ ი ა დ ა ბ ე რ დ ნ უ ლ ი ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ე ბ ი“. ¹⁾

კამათი გამოიწვია მომხსენებლის მიერ წამოყენებულმა „Aშერა“ სიტყვის ეტიმოლოგიამ: თავკიდური A ან ქართული ან უფრო იფხაზური წარმოშობისაა, - „შე“-ში იგივე ძირი უნდა იყოს, რაც „შე-ის“-ში, -ის კი ეტრუსკული სუფიქსი უნდა იყოს.

პროფ. გ. ახვლედიანმა ეჭვი გამოსთქვა, - „შე“-ის „შემა“. თან

¹⁾ დაბეჭდილია (მოხსენების შოგადი ნაწილი): იხ. რურნ. „ა ხ ა ლ ი რ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“ № 1, 1925. გვ. 1—13.

დაკავშირების შესაძლებლობის გამო: წინასწარ უნდა იყოს გათვალისწინებული პირველის „,ე“-ას, მეორის „,ე“-თან ურთიერთობათ.

ბენ. ჩიქობავამ მეტად საეჭვოდ მიიჩნია ამ სიტყვის შედგენილობა ასეთი ჭრელი რომ იყოს და აღნიშნა ისიც, რომ ეტიმოლოგიური ანალიზის სპეციფიკური სიძნელის გამო ძნელია სინამდვილის მიკვლევა: სიტყვის ხელოვნურ დანაწილებას ყოველთვის შეუძლია უმართებულო დასკვნამდი მიგვიყვანოსო.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდევ პროფ. ა. შანიძემ წა-იკითხა მოკლე მოხსენება: „ორ გვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირის საფუძველია; იმისდა მიხედვით, არის ეს პირველი პირი სუბდექტის თუ ობექტისა, ვლებულობთ ოთხ ფორმას: ორს სუბდექტისა და ორს ობექტისათვის; მაგალ. ნამ ლე-რიდ ხურიდ (ჩვენ ვართ); ნამ ლამაზრედ |ხუამაზრედ (ჩვენ ვამზადებთ): ლამაზრედ ნამ— მი ი სისგა“; ხურიდ, ხუამაზრედ=ნამ: მი ი ეჯა ეჯიშრ; აქ სუბდექტის პირებია განსხვავებული იმისდა მიხედვით „,ჩვენ“-ში იგულისხმება „მე და შენ“ „თქვენ“, თუ „,მე და იგი ||იგი-ნი“... ნამ გუამაზრებ |ნამაზრებ—გვამზადებს ჩვენ; გუამაზრებ ნამ: მი ი სისგა“; ნამარებ ნამ: მი ი ეჯას|ეჯიშრს... აქ ობექტის პირები განსხვა-ვებულია იშის მიხედვით, „,ჩვენ“-ში იგულისხმება „მე და შენ|თქვენ“, თუ: „,მე და მას |მათ“...

სუბდექტის პირები განსხვავებულია სვანურის ყველა კილოებში; ობექტის პირებს კი განასხვავებს ბალს-ზემოური და ბალს-ქვემოური; ლენტეხურსა და ლაშხურში კი მხოლოდ გუ-პრეფიქსი გვაქვს...

მომხსენებელს მოჰყავს საინტერესო შემთხვევა, როცა სვანურის მავალითების მიხედვით, ლახირელი სვანი ქართულიდ საუბრის დრო-საც ორნაირ ფორმას ხმარობს: თუ „,ჩვენ“-ში იგულისხმება „,მე და შენ თქუნ“ — „,გუ“-ს, თუკი „,ჩვენ“-ში „,მე და მას|მათ — ნამ-ს; მაგალი-თად: ცერცვი ნაქვს“ (ე. ი. გვაქვს მე და მას, მეორე პირის გამორიცხვით), „ვერ ნიშლიდენ“ (=ვერ გვაშლიდენ: მე და მას), ნეყოლებოდა, ნეხებოდა (=გვეყოლებოდა, გვეხებოდა: მე და მას|მათ), გადასახადი დანაწეროს (დაგვაწეროს: მე და მას|მათ); მონდიოდა (მოგვდიოდა მე და მას|მათ) და სხვ.

მევრულში ასეთ რასმე ადგილი არა აქვს; ძველი ქართულის მგუ-ში წარმოშობით სვანურისებური მოვლენა უნდა გვქონდეს, თუმცა ფორმები: „მომეც მოგუიც“ იქ უკვე განსხვავებული აღარა.

მაინც საუიქრებელია, რო „გუ-“ იხვარებოდა თავდაპირველად, თუ ობჟექტად იყო „მე და შენთქუენ“, „მ-“, როცა ობჟექტად იყო „მე და მას/მათ“.

ანალოგიური მოვლენები არის მომხსენებლის აზრით ზოგიერთ სხვა კავკასურ ენაში, ავრეთვე ამერიკისა, აფრიკისა და მალაო-ბოლინების მქვიდრთა ენებში, რასაც სათანადო ლიტერატურა (Friedr. Müllerი, Wundtი მცულერზე დაყრდნობით და Cassiererი¹ მონაგრაფიულ გამოკვლევებზე დამყარებით) აღნიშნავს ტერმინებით: ინ-კლუბივ-ექსკლუზივ.

ვარ. თოფურიამ მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლისას აღნიშნა, რომ ძველი ქართულის „გუ-პრეფიქსი შეიძლება დაიშალოს: გ-დ: 0₂, და უ-დ, რომელიც უნდა იყოს მანთან სუბსტიტუციათ მიღებული, ე. ი. 0₁ ასე რომ: გუ=0₂+0₁: „შენ თქუენ და მე“. მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ 11 ს. სხდომა დაიხურა.

1924 წლის 23 დეკემბრის საჯარო სხდომის ოქმი № 24.

სხდომა გაიხსნა საღამ. 8 ს. 20 წ. საქართველოს მუნიციპალიტეტის სა-ოუდიტორიო დარბაზში; თავმჯდომარეობს პროფ. გ. ახვლედიანი.

~~დ~~ ანონენ წევრნი: ს. გორგაძე, დ. კარიჭაშვილი, მიხ. ლობ-ჯანიძე, თამ. ლომაური, პროფ. ა. შანიძე, ვარ. თოფურია, ს. იორ-დანაშვილი, სტ. ჩხერიძე, მ. ხუბუა, სვ. ჯანაშია, ვუკ. ბერიძე, სარ. კაკაბაძე, დიმ. მგელაძე, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 4 დეკემბრის სხდომის ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ, ვარ. თოფურია კითხულობს მოხსენებას: „ქართლური: ფონეტიკა, მორფოლოგია“.

მომხსენებელი ჯერ მოვითხრობს 1923 წლის ზაფხულს ქართლურზე მუშაობის პირობებს, აღნიშნავს, რომ უმთავრესად ტყვიავის რაიონი წარმოადგენდა მისი ყურადღების საგანს და შემდეგ იძლევა ქართლურის ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენების ნუსხას, როგორც ბერიძა ცვალებადობის, ისე ბერიძა შენაცვლების სფეროდან, მოჰყავს მეტათეზის, სუბსტიტუციისა და ასიმილაცია-დისიმილაციის მაგალითები.

მორფოლოგიურ მოვლენათა წყებას მომხსენებელი ითვალისწი-

¹⁾ მომხსენებელს მოჰყავს ცნობები Cassiererის წიგნიდან: „Die Philosophie der Formen“, Bd. I. Die Sprache, Berlin. 1923.

ნებს მხოლოდ ულვლილებამდი; აქ უმთავრესად ბრუნვებზე ჩერდება და ყურადღებას აქცევს ხანის დაკარგვას ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობას იღებენ: სტეფანე ჩხერიმელი, სვ. ჯანაშია, დავ. კარიჭაშვილი, პროფ. ა. შანიძე და ბენ, ჩიქობავა.

მომხსენებლის პასუხსა და თავმჯდომარის ბოლო სიტყვის შემდეგ სხდომაშ პროფ. ა. შანიძის თავმჯდომარეობით მოისმინა პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება: „ი. იალლუზიძის თარგმანთა მნიშვნელობა ოსური ენის ისტორიისათვის..“

მომხსენებელი ჯერ იძლევა ი. იალლუზიძის ბიოგრაფიულ ცნობებს: იგი ყოფილა მოხელე-მთარგმნელი, საქართველოს აზნაური, ჩამომავლობით ოსი; მან ჩაუყარა საძირკველი ოსურ ენაზე მწერლობას 1819 წელს; მის მიერ თარგმნილია: საცისკრონი, ლოცვანი, კურთხევანი, მანვე შეადგინა ოსური ანბანი, რისთვისაც გამოიყენა ქართული ანბანი და დაურთო მას დამატებით ერთი ასო. აკად. Sjogrenმა ოსური ფონეტიკის განხილვისას გამოიყენა ი. იალლუზიძის თარგმანები, შაგრამ ზოგიერთი შეცოტები თავიდან ვერ აიცილა. მის შემდეგ ვსევ. მილერი ი. იალლუზიძის დაფასებისას დაემყარა აკად. Sjogrenის ცნობებს და იხალი შეცოტები დაუშვა; მომხსენებელი დაასკვნის, რომ ი. იალლუზიძემ ვერ პოვა დამფასებელი: აკად. Sjogrenმა ზოგი რამ სათანადოდ ვერ დააფასა, ვს. მილერმა კი, არა თუ ვერ გამოასწორა წინამორბედის შეცოტობები ი. იალლუზიძის შესახებ, არამედ ახალიც დასძინა მათ.

დავ. კარიჭაშვილი აღნიშნავს, რომ ქართული საისტორიო ცნობების მახედვით მე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა ყოფილიყო ქართული ასოებით ლოცვანი და ზოგი სასულიერო წიგნი ოსურიდ თარგმნილი, ასე რომ ი. იალლუზიძე არ უნდა იყოს ოსურ ენაზე მწერლობის შემომლებით.

მომხსენებელი უპასუხებს, რომ თუმცა მანაც იცის ასეთი ცნობის არსებობა, მაგრამ ჯერჯერობით არაეითარი ამ ცნობის დამადასტურებელი ფაქტები არ მოიპოვება და ი. იალლუზიძის თარგმანი პირველად უნდა ჩიოთვალოსო.

ამის შემდეგ პრეზიდიუმის წარდგენით სხდომაშ ერთხმად აირჩია საზოგადოების წევრებად: 1. ნიკოლოზ ბერძნიშვილი, 2. გიორგი წერეთელი და 3. მარგალიტა იაშვილი; უკანასკნელი წევრ-კორესპონდენტად.

10 ს. 40 წ. სხდომა დაიხურა.

1924 წლის 30 დეკემბრის საჯარო სხდომის ოქმი № 25.

სხდომა გაიხსნა საღამ. 8 ს. 20 წ. საქართველოს მუნიციპალიტეტის სა-
ოუდიტორიო დარბაზში; თავმჯდომარეობს პროფ. ა. შანიძე.

დაესწრნენ წევრნი: თ. ლომაური, მიხ. ლობჯანიძე, სვ. ჯანაშია,
გ. ჯაკობია, გ. წერეთელი, მ. იაშვილი, ს. იორდანაშვილი, გ. ჩიტაია,
სტ. ჩხერიძელი, ს. ჯიქია, ბენ. ჩიქობავა და გარეშე საზოგადოება.

წინა 23 დეკემბრის სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ მოს-
მენილ იქნა ვარ. თოფურიას მოხსენება: „ქართლური: მორ-
ც თლოვია.“

მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა ქართლურში ზმნების
თავისებურებანი და შემდეგი დასკვნები გააკეთა:

1. ფონეტიკასა და ნაწილობრივ მორფოლოგიაში ქართლური
ძალიან ახლოს დგას სხვა აღმოსავლურ კილოებთან.

2. ზმნებში კი აღსანიშნავია: а. მოვლენები, რომელიც მას აქვს
საერთო სხვა აღმოსავლურ კილოებთან: 1. აწმყო დროის სუფიქსი
ავ>ამ; 2. ფუძისეული -ევ, -ოვ> -ემ, -ომ; 3. იმავე აწმყოს დამა-
ხასიათებელი-ებ, -ობ სუფიქსები ხან -ემ, -ომ'-ის, ხან კიდევ -ეფ,
-ოფ'-ის სახით არის წარმოდგენილი; 4. ზოგიერთ სახელზნას-ებ
სუფიქსის ნაცვლად -ობ მოეპოვება; 5. ზოგიერთ ზმნას სუბდექტუ-
რი ხან სუფიქსი ეკარგვის; 6. მესამე პირის სუფიქსური ან ძირეული
დონის შემდეგ იხმარება -ნენ, იშვიათად -ენ; 7. -ია-ზე დაბოლო-
ებული ზმნები ნარს დაირთვენ; 8. ნამყო სრულის ე-ზე დაბოლო-
ებულ ზმნებს ზოგჯერ -ვი მარცვალი დაემატება; 9. ზოგ ზმნას
ნამყო სრულ მეორესა და ნამყო წინარეწარსულში ნარი უჩნდება,
რასაც ზოგჯერ ვნებითობა ამართლებს, ზოგჯერ კი მისი ჩართვა
გაუგებარია; 10. პირველი პირის სუბდექტური პრეფიქსი ვინი იკარგვის
უნისა, ვინისა და მანის წინუკეთუ ზმნაში ღლიშნული ბგერები
მოსდევს ვინ-პრეფიქსს.

b. ქართლურს ანსხვავებს სხვა კილოებისაგან: 1. ნამყო სრუ-
ლის პირველსა და მეორე პირში -ე-ზე დაბოლოებულ ზმნებში-ვი-ს
დართვა. 2. აწმყოს ჯგუფში ზოგიერთი ზმნის -ებ, -ობ სუფიქსების
-ამ სუფიქსით შენაცვლება; 3. -ოდა სუფიქსის ნაცვლად -იყო შემწ.
ზმნა იხმარება; 4. სუბდექტურ-ობდექტურ პრეფიქსებად დედის
ბგერების წინ ჰ, ჸ, ს, ხს გამოყენება; პირველი ორი ჰ, ჸ დღეს
არც ერთს კილოში არ იხმარება. ქართლურის მნიშვნელობა ამ მხრივ
ცხადია ძველი ქართულისათვის და პრეფიქსთა ევოლუციის გასათვა-
ლისწინებლიდ.

მოხსენების გამო აზრთა გაცელა-გამოკვლაში მონაწილეობა მიიღეს სვ. ჯანაშიამ, ბენ. ჩიქობავამ და პროფ. ა. ჭავჭავაძე. უკანა-სკნელმა აღნიშნა, რომ მოხსენება საყურადღებოა; იგი ეხება ქართ-ლურს, ე. ი. იმ კილოს, რომელიც მე XVIII საუკუნიდან უდიდესი მნიშვნელობის მქონეა სამწერლობო ახალი ქართულის შექმნისათვის ჰავს ხმარების დაკავშირება ჰაერეტობასთან ვერ გამოირდება... „მქონიყო“ და მაგვარი ფორმები, აგრეთვე „ვნახევი“-ს ტიპისა სხვუ-ფიკური ქართლური როდია; იგი სხვა კილოებსაც ახასიათებს. მეტად საყურადღებოა მომხსენებლის დაკვირვება - დენ დაბოლოების შესახებ; აქამდი გვეგონა, რომ მხოლოდ - დნენ იყო ხმარებული ქართლური.

მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ სხდომამ მოისმინა ბენ. ჩიქობავას მოკლე მოხსენება: „სან-ბგერის ბედისათვის ქა-ზიყურში“.

მომხსენებელი ჯერ აღნიშნავს ანალოგიურ მოვლენებს გარე-კახურიდან, რომლებიც იყო გათვალისწინებული მის ერთ მომხსენება-ში გარე-კახურის შესახებ; ისეთია: სანის დასუსტება-დაკარგვა სტ, სთ-კომპლექსებში, ნათესაობითისა და მიცემითი ბრუნვების დაბო-ლოებაში, როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა შემდეგ, აგრეთვე ზბნებში, -ულვლილებაში, -თანხმოვანთა შემდეგ; მომხსენებელი აღნიშ-ნავს, რომ ყველა ზემოაღნიშნულ მოვლენათა გარდა ქიზიყურში აღ-გიოს აქვს სანის დასუსტებას ულვლილებაში ხმოვნების შემდეგ (უთ-ხრედ, გააკეთედ, აგრეთვე ზნისართებშიაც, მაგალ., ოდედ)¹ და დას-კვნის, რომ სანის დასუსტება-დაკარგვა იმდენად გავრცელებულია და ისე შორს არის წასული პროცესი, რომ მოსალოდნელია სანის გადა-შენება, თუ რაიმე ფაქტორი (ვთქვათ, სამწერლობო ენის გავლენა ან სხვა რამ) წინ არ გადაელობა ამ პროცესს.

შეკითხვაზე მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ, პროფ. ა. შანიძე (თავმჯდომარე) აღნიშნავს, რომ მოხსენებაში გათვალისწი-ნებული მოვლენები მართლაც ახასიათებს ქიზიყურს, როგორც ჩემ მიერ 1913 წელს აღგილობრივ ჩაწერილი მასალებიდან ჩანსო, და ეს მოწმობს, რომ მასალები სათანადოდ არის ჩაწერილი და საიმედოა, რისთვისაც მადლობის ლირსია მასალათა შემკრები მარგ. იაშვილით.

¹⁾ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქიზიყურის ამ მოვლენას ითვალისწინება საზოგად. წევრ-კორესპონდენტის მარგ. იაშვილის მიერ გასულ ზაფხულს ჩაწერი-ლი მასალების მიხედვით.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭოს საანგარიშო მოხსენება 1924 წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობის შესახებ.¹⁾

„გასული 1924 წლის განმავლობაში საბჭოს მუშაობა უმთავრესად გამოიხატებოდა უურნალის გამოცემის ცდასა და საჯარო სხდომებზე მოხსენებათა თხვის მოწყობაში.

იანვრის ბოლო რიცხვებში საზოგადოებამ მიიღო ერთდროული დახმარების სახით განათლების კომისარიატისაგან საგრძნობი თანხა, დაუყოვნებლივ შეიძინა ოცი ფუთი ქალალდი და დაიჭირა თადარიგი უურნალის გამოცემისათვის; საბჭოს სხდომაზე გადაწყდა უურნალი ყოფილიყო პერიოდული, გამოგვეცა ყოველწლივ თითო ნომერი და გვეწოდებია „წელიწდეული“. საზოგადოების საჯარო სხდომებზე წაკითხულ მოხსენებათა და ხევა წერილებს გარდა იქ მოგვეთავსებია სადიალექტოლოგიო მასალები, ძველი ქართულის გამოლცემელი ტექსტები, საზოგადოების სათანადო წლის სხდომათა ოქმები, აგრეთვე საენათმეცნიერო გამოკვლევათა ბიბლიოგრაფია; უკანასკნელს უნდა მისცემოდა სისტემატური ხასიათი; იგი უნდა დაგვეწყო 1923 წლიდან, მაგრამ პარალელურად განგვევრდო 1910 წლიდან, სადაც წყდება განსვენებული პროფ. ი. ყიფშიძის რედაქტორობით გამოსული ზოგადი საბიბლიოგრაფიო მიმოხილვა, სადაც საენათმეცნიერო ბიბლიოგრაფიაც არის წარმოდგენილი (რასაევირველია, პერიოდული გამოცემის მასალებისდა მიხედვით). ამ ჩხრივ უურნალში უნდა ყოფილიყო მოცემული საენათმეცნიერო ბიბლიოგრაფიის გაგრძელება, ისიც არა მარტო პერიოდულ გამოცემათა მიხედვით.

ამგვარად, წელიწდეულს უნდა მოეცა საზოგადოების ერთი წლის მუშაობის შესახებ ასე თუ ისე გარკვეული წარმოდგენა. საბჭოს განხრახული პქნდა 1923 წლის „წელიწდეული“ 1924 წლის ზაფხულამდი გამოეცა, ხოლო შემოდგომის განმავლობაში მოესწრო 1924 წლის ნომრის დაბეჭდიაც.

სამწუხაროდ, საბჭოს იმედი ვერ გაუმართლდა: გასული წლის პრილს წამოწყებული ბეჭდვა 1923 წლის „წელიწდეული“-სა მხოლოდ და მხოლოდ ტიქნიკურ დაბრკოლებათა გამო ისეთი ნელი

¹⁾ მოხსენება წარედგინა წლიურ კრებას, რომელიც შედგა 1925 წლის 13 იანვარს.

ტემპით წარემართა, რომ დღემდისაც ვერ ველირსეთ დასრულებას (ამჟამად დაპეტდილია 300-ოდე გვერდი); ნავარაუდევია ერთი თვის განმავლობაში მისი დასრულება.

გასული წლის ზაფხულს უწინდებურად ცოცხალ ენა-კილოებზე ადგილობრივ მუშაობა ვერ მოხერხდა უსახსრობის გამო; ამ მხრივ ზაფხული ვერ გამოვიყენეთ.

მოეწყო სულ 11 საჯარო სხდომა; მათზე წაკითხულ იქნა შემ-დევი 18 მოხსენება:

1. „—შე ნაწილაკი ფერედნულში“—ბენ. ჩიქობავას მიერ 8. I. 1924.

2. „ქვემო-ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის ძველად“—დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ 15. I. 1924.

3. „ინგილოზი ჰაე და ჰაემეტი ტექსტები აღიშისა და ხანმეტურთან დაკავშირებით“—მოსე ჯანაშვილის მიერ 10. II. 1924

4. „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“—პროფ. ა. შანიძის მიერ 18. II. 1924.

5. „ხანმეტობის კიდევ ერთი ნაშთი“—სპ. ჯანაშიას მიერ 18. II. 1924.

6. „მაჩინტისძის ჩინი“—პროფ. ა. შანიძის მიერ 11. III. 1924.

7. „კორიდეთის სახარების მინაწერთა დათარიღებისათვის“—სპ. ყაუხჩიშვილის მიერ 11. III. 1924.

8. „სამი t“ ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შე-საფერ ბგერებთან—პროფ. გ. ახვლედიანის მიერ 11. III. 1924.

9. „ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში“—ვარ. თოფურიას მიერ 1. IV. 1923.

10. „გარე კახეთი დიალექტოლოგიურად“—ბენ. ჩიქობავას მიერ 1. IV. 1924.

11. „ვახუშტის გეოგრაფიის ზოგიერთი არმენიზმებისათვის“— მელიქსეთ-ბეგის მიერ 15. IV. 1924.

12. „მოულური: მორფოლოგია, სინტაქსი“—ბენ. ჩიქობავას მიერ 22. IV. 1924.

13. „ავტორითა თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები“—სპ. ულამაზე მიერ 4. XI. 1924.

14. „კვარი სახე მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სურავი—პროფ. ა. შანიძის მიერ 4. XI. 1924.

15. „ტონეტიკა“ (მორფოლოგია)—ვარ. თო- ის მიერ 23. XII. 1924.

16. „ი. იალლუზიძის თარგმანთა მნიშვნელობა ოსური ენის ისტორიისათვის“—პროფ. გ. ახვლედიანის მიერ 23. XII. 1924.

17. „ქართლური: მორფოლოგია“—ვარ. თოფურიას მიერ 30. XII. 1924.

18. „სან-ბგერის ბედისათვის ქიზიყურში“—ბენ. ჩიქობავას მიერ 30. XII. 1924.

საბჭოს კასული წლის განმავლობაში ჰქონდა 7 სხდომა.

საზოგ ღოების (აგრეთვე სარევიზიო კომისიის) წევრის მიხეილ ლობჯანიძის დახმარებით საზოგადოებამ მიიღო შემოწირულების სახით 10 გირვ. სტერლინგი, რამაც საბჭოს საშვალება მისცა უცხოეთიდან გამოეწერა საენათოეცნიერო ლიტერატურა, თუნდაც რამოდენიმე, მუშაობისთვის აუცილებელი წიგნების სახით; 10.-დე წიგნი, ფრიად მნიშვნელოვანი, უკვე მიღებულია და ამით საფუძველი ეყრდნობა საენათოეცნიერო წიგნთსაცავის საქმეს, რის აუცილებლობას საბჭო იმ თავითვე გრძნობდა.

ამას გარდა დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის საშვალებით საზოგადოებამ მიიღო სადიალექტოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალების გარკვეული ოდენობა, რომელიც უწინდელი სასწავლო ოლქის მიერ იყო შენაკრები. ორივე პირს საბჭო დიდ მაღლობას უდღენის.

საზოგადოებას ამ ერთად ჰყავს 39 წევრი; მათში ერთი-საპატიო, სამი წევრ-კორესპონდენტი, 35—ნამდვილი: 1. აბულაძე იუსტინე, 2. აბულაძე სავლე, 3. ახვლედიანი გ., პროფ., 4. ბაქრაძე გიორგი, 5. ბერიძე ვუკ., 6. ბერძნიშვილი ნიკ., 7. გორგაძე სერ., 8. ვაჩინაძე სვ., 9. თოფურია ვარ., 10. იაშვილი მარგ., 11. იორდანაშვილი სოლ., 12. კაკაბაძე სარ., 13. კარიჭაშვილი დავ., 14. კეკელიძე კ., პროფ., 15. ლობჯანიძე მიხ., 16. ლომაური თამ., 17. მგელაძე დიმ., 18. მელიქ-სეთ-ბეგი ლ., დოც., 19. მირიანაშვილი პეტ., 20. მოსეშვილი ი., პროფ., 21. პარკაძე გიორგი, 22. უზნაძე დ., პროფ., 23. ფუთურიძე ვლად., 24. ყაუხეჩიშვილი სვ., 25. შანიძე აკ., პროფ., 26. ჩიტაია გიორგი, 27. ჩიქობავა ბენ., 28. ჩუბინაშვილი გ., პროფ., 29. ჩხენკელი სტეფ., 30. ცაგარელი ალ., დაშახ. პროფ., 31. წერეთელი გიორგი, 32. ჭეიშვილი იოსებ, 33. ჭუმბურიძე გიორგი, 34. ხუბუა მაკ., 35. ჯავახიშვილი ივ., პროფ., 36. ჯაკობია გიორგი, 37. ჯანაშვილი მოსე, 38. ჯანაშვია სვ., 39. ჯიქია სერგი.